

740
1984/2

საქართველო
ბიბლიოთეკა



1984/2



92

სიძენი

ISSN 0132 — 5978

7
1984



ბანანა
გაღვიძალი

იქ დღეს გე ვეძლავა

უცყე სამი წელია, შევიბობინე თბილისის 126-ე საშუალო სკოლის და მოსკოვის 862-ე საშუალო სკოლაში სწავლავლები. შევიბობა კი ასე დაიწყო: საბჭოთა ავტიზის დეშმის 60 წლისთავისათვის მზადების დღეში სკოლაში პირველკლასელების სახელე მოსკოველი მოსწავლის ოლია ბოგაჩოვას წერილი მივიღე, რომელშიც იგი თბილისის 126-ე საშუალო სკოლის და მისი აზნაგავის საქართველოზე მასალების შეკრებაში, თხოვნა, რა თქმა უნდა, შესრულდა. აქედან მოყოლებული გაიდა მეგობრული მიმოწერა წინა თბილისელებსა და მოსკოველებს შორის. მიმოწერას ერთმანეთის ნახვის სურვილი მოჰყვა და ბავშვები რამდენჯერმე შეხვედნენ ერთმანეთს თბილისშიც და მოსკოვშიც.

განმეცოცხდა და გაბრწყინდა მეგობ-

ბრობა, და ამ გახაფხულზე მოსკოველებმა ყველა მიწვევის თბილისელი თანატოლები. ეს არ იქნებოდა მხოლოდ პირიერი შეხვედრა, რამეთუ მოწვევას თან მოჰყვა წინადადება — კლასის საუბრეთუ ოქტომბრულში მოსკოვში მივლით სავაჭრო პოინტირული ორგანიზაციის წევრებად. და არ, 1984 წლის 5 მაისს თბილისის 126-ე საშუალო სკოლის 1113 კლასის 20 ოქტომბრულ მოსკოვის ვლადიმერ ლიას მე ლინისა სახელობის ცენტრალური მუზეუმში საზეიმო ვითარებაში გამოუსტყვეს ყელზე აღსდგერი პოინტირული ყელსახეველი.

მეილი ასწავრის ამ ვიცი-ბიჭების განცდები, შთაბეჭდილებები, განწყობილობა, ამიტომ მიათ პირველი შეხვედრა და კლასის მართვებელი, პატრუცეული ნათელი ვამაყობე და ვინმარეა.

მამ ასე, სიტყვა მივეციტი მათ, ვისაც რაღაც ორი თვის წინ დაუმეყნა მეტირი პოინტირული ყელსახეველი.

ბიორბი ბანანამი (წმადლეუმი ასწავლებელი პოინტი, პალსაღი დახედაც კულსაბეკვის წყვილი, ღამაზად გამოკუთრებთან თუ არა):

— ძალიან, ძალიან მომეწონა მოსკოვი. ჩვენ ყველანამ ოქსაგამი დაგანაწერილეს. მე სასამაო მოგვდეს. სულ ერთად ვიყავით, საშუალო ექსტრუსიებზედაც დაგვეყვებოდა. ერთხელ ჩვენი დეტალისთვის ორიაინი კი მიიღო — სათამაშოების დამზადების გეზულად და გავყვილებს დასწავლა ველარ მოსწერი. ჩვენზე დღე მთავრებულდა მოსდანი მაგობრებულს. ასე იყო აჭყრადი, ყველანი ოქსაგამში ჩამოვინა ლინის მანამდე სურათებზე მენახა, ახლა კი... როგორც დამაქმედება 5 მაისს, ამ დღეს ხომ პოინტირია რიგებში მივიგულეს, პალსაღივეა-

17.7.36

დავან სახეობი წითი, ოქსაგამი და პოინტირული მაგობრების დასწავლა. 60 წლისთავისათვის ვინაწილდა.

ბი ჩვენმა უფროსმა მოსკოველმა მეგობრებმა გავიგებულეს.

5. ბანანამი — მეგობრულმთარ, როგორც ვოველთვის, უნამარბარი რიგი იღვა. ჩვენმა მეგობრებმა ჩვენი ოთავი წავეღიანეს მოსკოველებს, უბნებს, ასე და ასე, ეს ქართველი ვიცი-ბიჭები ახლახან მივიღეთ პოინტირული რიგებში და ახლა ლინისა სახეზედაც მივიღეთ, რიგი შეპირების და ისე გავგებარეს. უნდა გენახაო, რა მოწონება და მღელვარება იყო აბეჭდილი თითოეულ ბავშვის სახეზეც.

მხიდა მონარბი (ერთი სკოლა აქვს, როდის მოყვება ვეღლებს, დღეს, შოშბის, არაფერი დავიწყდეს) — მე და ჩემი და მეობრებულეს სკოლა გევა სტუბორისა ოქსაგამში მივხვდით. იცი, ჩერ სხვას უნდა წავეყვანოთ თავისთვის, მაგრამ ვიყის სახლში გამოუტანდა, თუ ერთ ქა-

თის ცხოვრების, სულეტი წამყაროს.

ბიბა მონარბი (ოთხთვი მშვიდად არის, მაგრამ ტყუობა, ვინცა იმ დღეუწერი დღისენ ვაურბის); — როცა ბანანამი გასცეს, ოქტომბრების ნიშანი მოიხსინოთ, მანინ დავიწერე, რომ პოინტირული გავმზადოთ, მანამდე კი რაღაცნიარად არ მწერიდა. არასდროს დამაქმედებდა ის დღე.

ძალიან მიიღდა მეგობრულმის ნახვა. ლინისზე მეტი რამე ვიციდი, მაგრამ ვერ წარმომიდგინა, რომ ამდენს აეთებდა. მუზეუმში კი დავიწერინდი ამაში. მეგობრულმის ცრემლები წამომივიდა...

თია მთრღვა (მევედა ტირილარევი ხშიო, თუმცა მინც ყოჩაღი); — მე მეხუთედასკოლა ოლია გენასოვასთან მოგვდი ოქსაგამში. სულ ერთად ვიყავით, ტრეხე ერთად დავივლიდით, გზოშიც ერთად ვამაზობდით. თბილისში რომ დავბრუნდით, მანამდე დავიწერე ჩემს მეგობარს, ძალიან მენატრებოდა.

ზახა ბანანამი (თბილისი ბანანამი ზვიდან ვინისა კბეღელს აცვი, ყველსაგვევი საუბრულეგულე მეს უნომდენ შეუძსეყვი, ჯემ... მინდინდა ვინა, მანინ პანანინოთ; — რაღაცნიარად არა ვიწერიდი, რომ მოსკოვში მწერი, სხვა... მსგავსი უნტი ლინის არ ენახე, ძალიან მომეწონა ლინისა ნაწულები და ქართული ბავშვების მანუშეგარი სახალე მეტრებობის მიღწევათა გამოყვანა).

ამთინადი კონკინამი (აბაბა მინიცი ასე დღედა); — ვინცა ვიდა... მეგონა, რომ 5 მაისს მე ვეღლებზე ბედნიერი ვიყავი.

საბა ნინაზა (მეგობრული დინჩალ ყვები); — მეგობრულმში რომ შევიდით, გავიფრტე, რამდენი ისეთი ადამიანი მინც ქვეყანაში, ვისაც ლინის არ უნახავს, მე კი არ, ენახე-მითხრა...

ზამო ვინასალარბი (სახარული თავიბიბა უციკემების); — მივიღეთ პოინტირული რიგებში, დიციც წარმოგვიტოვა, ყველსაგვევიც გავიციკეთს, მაგრამ მინც არ მწერიდა, რომ უცყე პოინტირული ვარ. მივიღეთ ნათელი მასწავლებელმა მოვიკოცა და ვეღლინი დავიკოცინა.

6. ბანანამი — ვერ წარმოიდგენთ, სახარულიდ რომ ვინაგვინდებოდა იყვნენ, პოინტირული რიგების შეხედვას სამასხარევი წინებში და მუღებებში დავიწერეს და იმდენს დღედავდენ, რომ ხან-ერთს ვეღრებოდა ვინა ვინა და ხან-მეორს, მაგრამ არა მთრღვა, რომელიც ისე დღედავდენ, როგორც მე მე ხომ ვეღრდილი მთრღვა მავიგარევი ვაწვივდი ვეღრდებოდა.

ნათი: ციმბილამა (სახარული

გელენი ვიყავი

როველ მეგობარს არ მარტუნებენ, ტყუმი ვაგვიციც და მინ აღარ დავბრუნებდით. მართლაც ვაგვიციც და მშობლებს თავად უბოხივით, ერთ-ერთი სტუბორისა გავგებარედი. დამრეგებულ ვიყის მინ ერთი მაგობრად ორი სტუბორი დაგება — მე და ჩემი და...

ოქტომბრების ნიშანი რომ ეხსინდი, რაღაცნიარა ვინაწილამ შემიპორო, არ ვიცი, რა ჰქვია... მეტი, რომ უცყე ვაგვიციკეთს ყველსაგვევი, მეტრევი დარბაზიდან მე გავიწერივარ.

6. ბანანამი — იცი, აღმეცი თბილისშიც და მოსკოვშიც, ოქსაგამში მამასკობდენ სტუბორებს. ასე იყო აჭყრადი, ყველანი ოქსაგამში ჩამოვინა ლინის მანამდე სურათებზე მენახა, ახლა კი... როგორც დამაქმედება 5 მაისს, ამ დღეს ხომ პოინტირია რიგებში მივიგულეს, პალსაღივეა-

როველ მეგობარს არ მარტუნებენ, ტყუმი ვაგვიციც და მინ აღარ დავბრუნებდით. მართლაც ვაგვიციც და მშობლებს თავად უბოხივით, ერთ-ერთი სტუბორისა გავგებარედი. დამრეგებულ ვიყის მინ ერთი მაგობრად ორი სტუბორი დაგება — მე და ჩემი და...

ოქტომბრების ნიშანი რომ ეხსინდი, რაღაცნიარა ვინაწილამ შემიპორო, არ ვიცი, რა ჰქვია... მეტი, რომ უცყე ვაგვიციკეთს ყველსაგვევი, მეტრევი დარბაზიდან მე გავიწერივარ.

6. ბანანამი — იცი, აღმეცი თბილისშიც და მოსკოვშიც, ოქსაგამში მამასკობდენ სტუბორებს. ასე იყო აჭყრადი, ყველანი ოქსაგამში ჩამოვინა ლინის მანამდე სურათებზე მენახა, ახლა კი... როგორც დამაქმედება 5 მაისს, ამ დღეს ხომ პოინტირია რიგებში მივიგულეს, პალსაღივეა-

საქართველოს სახელმწიფო პრეს-ცენტრი

საქართველოს სახელმწიფო პრეს-ცენტრი

პირენი

2 ივლისი 1984

საქართველოს სახელმწიფო პრეს-ცენტრი



სახეგანათებული იხსენებს): — მთელი დღე ვლელავდი. სანამ ყელსახვევს გამიკეთებდნენ, სულ გული მიკანკალედა, მეჩქარებოდა.

ბიორგი ტოვონიძე ჰყვება: — იმ დღეს, როცა პიონერთა რიგებში მიგვიღეს, წითელ მოედანზე სურათები გადავიღეთ... მოსკოველებმა ოლიმპიური კომპლექსიც დაგვათვალიერებინეს. ძალიან მომეწონა.

ნიკო პაპაშვილი (დინჯად, დალაგებით ჰყვება): — პიონერთა რიგებში ლენინის ცენტრალურ მუზეუმში მიგვიღეს და ყველანი ძალიან ვლელავდით. მუზეუმში დავათვალიერეთ ლენინის სამუშაო ოთახი, ნივთები. პიონერთა რიგებში მიღება ჩემი პირველი ყველაზე დიდი სიხარული იყო.

პაპაშვილი ლიპარტიანი (მოგონებებს უღიმის): — მე ტანია ნაზარენკოს დავუმეგობრდი, სულ ერთად ვიყავით, ვუყვებოდით ერთმანეთს სკოლის ამბებზე, ამხანაგებზე. პიონერთა რიგებში მიღების სიხარულიც პირველად მას გავუზიარე.

ქეთინო საბაშვილი (მღელვა-

რება სიტყვას აწყვეტინებს): — რომ დავიჩოქე და დრომას ვეამბორე, თვალზე ცრემლი მომადგა, ველარაფერს და ველარავის ვხედავდი. მერე გამიარა.

სოზიო კვაზილავა (მზად არის, ყველა წვრილმანი გაიხსენოს): — ჩემს მეგობარს, ტანიას, მისივე სურვილით ქართულს ვასწავლიდი. რა თქმა უნდა, ერთ კვირაში ბევრს ვერ ისწავლიდა, მაგრამ სიტყვები „დედა“ და „სამშობლო“ ადვილად დაიმასსოვრა. ჩვენ ხომ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს და ტანიაც კარგად შეისწავლის ქართულს.

იქ, მუზეუმში, რაღაცნაირად დაძაბული ვიყავი და მხოლოდ მაშინ მომეშვა გულზე, პიონერულ დროშას რომ ვეამბორე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამის მერე დავმშვიდდი.

მარინე სამხვაშვილი (სერიოზული სახით): — მოსკოვში ბევრი რამე ვნახეთ, ყველაფერი ძალიან მოგვეწონა, შთაბეჭდილებაც ძალიან ბევრი მაქვს. მაგრამ არასდროს, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება პიონერად კუროთხვევის დღე.

ერეკლესი
რუსუდან ჯაშიაშვილი (ცოცხალობს, არ გაიმეოროს უკვე ნათქვამი): — მოსკოვში ძალიან მომეწონა გამოფენა, იქაური შადრევნები. ბევრი რამით დამამახსოვრდა ის დღეები, მაგრამ პიონერთა რიგებში მიღების დღე განსაკუთრებული იყო.

ნ. ვაშაბიძე: — დღე არ გავა, რომ მოსკოვში ყოფნა არ გაიხსენონ. სრულიად მოულოდნელად რომელიმე დაიწყებს: „გახსოვთ, მასწავლებლო, წითელ მოედანზე რომ ვიყავით, მუზეუმში იმ სახლის მკეტი რომ ვნახეთ, სადაც „ისკრას“ ბეჭდავდნენ?...“ მერე სხვებიც აპყვებიან, მეც ჩამითრევენ და ლამის გაკვეთილები დავივიწყოთ ხოლმე. რაღა თქმა უნდა, ყველაზე დიდი სიხარულით 5 მაისს იხსენებენ, პიონერთა რიგებში მიღების დღეს. გავა დრო, დაიზრდებიან ჩემი პატარები, დაფრთიანდებიან, ბევრი სიხარული და მღელვარება შეხვდებათ ცხოვრებაში, მაგრამ იმ დღეს განცდილს, ალბათ ვერაფერი დაჩრდილავს.



თხილისელა
და
მოსკოველმა
მეგობრებმა
წითელ
მოედანზე
სამახსოვრო
სურათი
გადაიღეს.



მუხტარა

ვალერი
ასლანაშვილი

მხატვარი თ. ფხიკიძე

მ ო თ ხ რ ო ზ ა

მუხტარა მე დავარქვი, მისი ნამდვილი სახელი ბეჟანი იყო. ერთი სიმღერა ჰქონდა აკვიატებული. ავიღოდა თავის ეზოში, ღობის პირას მდგომ ვერხვზე, ციყვივით კენწეროზე მოექცეოდა, აქანავებდა აქეთ-იქით და ხმამაღლა მღეროდა: „მუხტარ, მუხტარ, მუხტარ, ჰე, მუხტარ, შენ გენაცვალე...“

ეს სიმღერა პირველად რომ მოვისმინე, სახლში ფანჯარასთან ვიჯექი და დანისლული თვალებით ცაზე აფრებივით გაშლილ, დასავლეთისაკენ მიმავალ ღრუბლებს გავცქეროდი. დარდი მქონდა გულზე შემოწოლილი: ფრონტიდან მამაჩემის წერილები აღარ მოდიოდა.

დედაჩემს ჩუმად გამოგლოვილიც ჰყავდა.

— ხუთი-ექვსი თვე კაცის ამბავს რომ ვერ ვაიგებ, განა ის ცოცხალი იქნება? — იტყოდა და ცრემლებს გადმოჰყვრიდა. იმის შემყურეს გული ყელში მებჯინებოდა, სახლიდან გარეთ ვავრბოდი, მუხტარას მოვძებნიდი და ჩემს დარდს შევჩვივლებდი ხოლმე.

კეთილი, ჭკვიანი ბიჭი იყო მუხტარა, ჩემზე ორი წლით დიდი, მაღალი და ძვალმსხვილი.

— ბიჭო, წყალს ხომ არ გისხამენ, ე რამოდენა იზრდებიო, — ეხუმრებოდნენ სოფლელები.

წლოვანებაში განსხვავება ჩვენს მეგობრობას სულაც არ უშლიდა ხელს, უფრო სწორად, მუხტარა არ თაკილობდა ჩემთან ძმაკაცობას, დარდიანს მომისმენდა, კისერზე ხელს თანაგრძნობით გადამიდებდა და იტყოდა:

— ნუ გეშინია, გენავ, შარშან შვიდი თვე ისე გავიდა, მამაჩემის არაფერი ვიცოდი. მერე ხო ნახე, სამი წერილი ერთად მომიტანა ფოსტალიონმა.

ერთხელაც, მუხტარას სიმღერა რომ მოვისმინე, ვუთხარი:

— მუხტარ, სხვა სიმღერა არ იცი?

— როგორ არა, გენავ, — კეთილად გაიღიმა.

— მა რაღა ეს აგიკვიატებია: მუხტარ, მუხტარ, მუხტარ, ჰე... — გამოვაჯავრე.

გგონიათ, ეწყინა? სულაც არა!

— ამ სიმღერას მამაჩემი მღეროდა; ცოტას რომ დალევდა, მაშინ მღეროდა ხოლმე. ფრონტზე რომ მიდიოდა, იმ დღესაც მღეროდა, თან მე და დედას გულში მაგრად გვიკრავდა.

მუხტარას უცებ სახეზე ფეხიფეხი გაუქრა, მოიწყინა.

მამამისის ფრონტზე წასვლიდან ნახევარი წელიც არ გასულიყო, დედა მოუკვდა — ყელში რაღაც სიმსივნე გაუჩნდა და სწრაფად გაათავა. დარჩა მუხტარა მარტოდმარტო. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. არავინ გაიკარა, არც ერთ ნათესავთან არ ისურვა შეკედლება: სადაც არის, მამა გამარჯვებული დაბრუნდება, სახლს როგორ გამოგვეტავ, კერას როგორ გავაციებო.


ობოლ ბიჭს შემწეობას კოლმეურნეობა და მეზობლები უწევდნენ. როგორც საკუთარ შვილს, ისე უვლიდა დედაჩემი. იმასაც ჩემსავით ურეცხავდა და უუთობდა, ჩემთან ერთად ასადილებდა, ჰბანდა და ყურებზე ჩამოზრდილ თმებს ორივეს მაკრატლით გვისწორებდა.

არც მუხტარა გვრჩებოდა ვალში გავიხედავდით და, თონესთან უზარმაზარი ფიჩხის კონა ეგდო იმის მოტანილი, სარეცხისთვის დედაჩემს წყალს უზიდავდა, ბარვასა და თონაში ხომ სულ გვერდით გვყავდა. ხასიათი ჰქონდა ისეთი, არავის დაზარდებოდა, არავის დატოვებდა გულნაკლულს, ოღონდ ვინმეს რამეში დასჭირებოდა მისი ხელი.

მუხტარა მფრინავობაზე ოცნებობდა. ჩვენი სოფლის თავზე თვითმფრინავი რომ დაიგუგუნებდა, მაშინვე კატის სისწრაფით ავარდებოდა ვერხვზე. ცალ ხელს ტოტს ჩასჭიდებდა, მეორეთი შუბლს მოიჩრდილავდა და, გვერდზე გადახექილი, ცის სილაჟვარდში მონავარდე ვერცხლისფერ ჩიტს გასცქეროდა. მერე, როცა თვითმფრინავი დასავლეთით ტყიან გორაკებს გადაუფრენდა და მისი ხმა ნიწყებოდა, ვითომ თვითმფრინავში ვზივარო, მუხტარა ვერხვის ტოტის ქანაობას იწყებდა და თან თავის საყვარელ სიმღერას შემოსძახებდა.

— ტოტი არ მოტყდეს, ქა, რასა შვრება ეს გადარეული, — იტყოდა დედაჩემი. რამდენჯერ დაუძახნია კიდეც ვერხვზე ასულისათვის, ბიჭო, მაგ კენწეროს არ გადმოჰყვე, თორემ სული არ ჩამოგყვება ძირსაო.

— ნუ გეშინია, დეიდა ანო, ნაცადი



კენწეროა, ორ ჩემისთანას დაიმაგრებს! — გადმოსძახებდა მუხტარა დედაჩემს მხიარულად და სიმღერას განაგრძობდა.

ერთხელ დედამ წისქვილში ხორბალი გამატანა დასაფქვავად. ავიკიდე ფუთიანი ტომარა და წავედი. წისქვილი სოფლიდან კარგა მოშორებით, ხეობაში იყო ჩადგმული. ხალხს იმ დღეს ბევრი საფქვავი ჰქონდა და ჯერმა გვიან მომიწია. ამასობაში დაღამდა კიდეც.

— ფრთხილად იარე, უმთვარო ღამეა და არსად დაგიცდეს ხეობაში, — მითხრა მეწისქვილემ და ტომარა ამკიდა.

მე იმ ბიჭებს არ ვგავდი, ღამით მართო რომ ვერ გამოდიან გარეთ, ცხვირს ვერ გამოყოფენ, თუ ვინმე არ გამოიყოლეს. მაგრამ ხეობაში გამეფებულმა სიბნელემ, ქვა-ღორღში გამდინარე წყლის შხუილმა და სადღაც ზემოთ, ტყიანში ტურების კივილმა, დროდადრო ჭოტების სევდიანი ძახილი რომ უერთდებოდა, მაინც შემაკრთო. თვალები საცრისოდენა გამიხდა, რომ ბილიკი წყლის ნაკადისაგან გამერჩია და სადმე არ ჩაჩხებილიყავი. თუმცა ზოგჯერ მაინც შევეტოპავდი ხოლმე უნებლიეთ ყინულივით ცივ წყალში.

მივდივარ, მივბრაცუნებ ხეობაში და ზურგით წისქვილის დოლაბებისაგან გახურებული ფქვილი მიმაქვს. მინდა, როგორმე შიში მოვიცილო, არ ვუსმინო ტურების კივილს, ჭოტების გულსაკლავ გაძახილ-გამოძახილს. ხან რაზე ვფიქრობ, ხან — რაზე. სიმღერა წამოვიწყე — „მუხტარ, მუხტარ, მუხტარ ჰე...“ არ გამომივიდა, ყელიდან ჩახრინწული ხმა ამომივიდა.

„მართლა, ნეტავ სად არის ახლა მუხტარა, რას აკეთებს?“

ფქვილმა ზურგი გამითბო და მის სასიამოვნო სუნს ხარბად ვისუნთქავდი, ალბათ მშოიდა და იმიტომ. არა, ამას წინათ მუხტარამ თქვა, თბილ ფქვილს დედის სუნი ასდისო. ბევრჯერ მე და მუხტარას, როცა წისქვილში ერთად ვყოფილვართ, გზაზე დავეიდგია ტომარა, ვავიხსენია და დავმტკბარვართ ფქვილის სუნით.

„ხვალ დედა პურს გამოაცხობს, ო, რა გავინარებთ მე და მუხტარა!“

პურის ცხობა ორივესთვის დიდი ზეიამია. შოთ პურებთან ერთად დედაჩემი თითო კვერისასაც ჩააკრავს თონეში, ზოგჯერ ღორის ქონში მოშუშული კარტოფილის გულიან ნაზუქებსაც აცხობს. დაბრაწულ ნაზუქებს კინჭოტით მალლა რომ ამოჰყურის, ერთს მე ავიღებ, მეორეს მუხტარას გავუწვდი; მორცხვი ბიჭია მუხტარა და ჯერ იუარებს, არ მინდაო, იტყვის, მაგრამ რას მოვეშვები, ნაზუქს ხელებში ჩავჩრი. მეტი რა გზა აქვს, ისიც მაღიანად ჩაკბეჩს, ცხელი ლუკმით პირს გამოიტენის და აქებს დედაჩემს, დეიდა ანო, შენ რომ პურს აცხობ, სოფელში მეორე ნუ დაიკვენისო.

ამ ფიქრებში ვარ. მთელი ხეობა ისე გამოვიარე, არსად შემისვენია, დამცხა და გავიოფლე. დაიწყო სოფლისაკენ ამავალი ბილიკიანი ფერდობი. ცის ფონზე, თითო-ოროლა ვარსკვლავი მწვანე ღილებივით რომ მიჰკერებია, კრამიტგადახურული სახლების სახურავები და ხეთა შავი კენწეროები გამოხატულა, ფანჯრებიდან ნავთის ღამპების მბუუტავი, მოყვითალო სინათლის შუქი კია-

ფობს, სადღაც თავგამოდებით დავებენ ქოფაკები.

შიში უცებ გაქრა. სოფელი უკვე ორ ნაბიჯზეა.

დედა შინ არ დამხვდა. მაგიდაზე პატრუქდაწეული ღამპა ბუუტავდა და ტკაცუნობდა. ასე იცის, როცა ნავთი ცოტაა, ან წყალი შეჰყვება ხოლმე.

ფქვილის ტომარა ოთახის ერთ კუთხეში დავდგი და გარეთ გამოვედი, რომ მუხტარასთან გადამერბინა, გამეგო, სად იყო დედაჩემი. დედა სადმე რომ მიდიოდა, ამბავს ხშირად იმას უტოვებდა ხოლმე. სამეზობლო კარი გავაღე და იქვე გავშეშდი — მუხტარაანთ სახლის საჩხი ხალხით იყო სავსე.

— ცუდი ამბავია, შვილო, ცუდი, ბეჟანა ვერხვიდან ჩამოვარდა, — მითხრა მეზობელმა დედაკაცმა და ვიშვივით მუხლზე ხელი დაირტყა. — ივერანა, ტოტი მოუტყდა, ბიჭო, ტოტი!

კარებთან ჯგროდ მიმდგარ ხალხს გავუძვერი და მუხტარასთან შევედი. თავშენვეული იწვა ტახტზე. თეთრ ხილბანდში სისხლს გამოეჟონა. ჭერს შესცქეროდა თვალეღბია, მკე-





ქვეყანი რომ ლამაზია

ჭაობები დაუშრიათ,
მოწანწკარებს ცივი წყარო.
ნაგუბარზე — მანდარინი,
ნაეკლარზე — ჩაი ხარობს.
თმაჩამოშლილ ტირიფის ხეს
აშრიალებს ნიაფ-ქარი,
გაშლილ ზღვაზე იალქნიან
ნავეებს ქარი მიაქანებს.
ბინული რომ მოჩუხჩუხებს,
თითქოს ტკბილი ბადაგია.
ცისფერი და მიწისფერი
ერთმანეთში გადადიან.
კაცის ხელის ნაჯაფარი
უთვალავი, ულევია...
ქვეყანა რომ ლამაზია,
შენი ხელიც ურევია,
ქვეყანა რომ ლამაზია,
იმ ლამაზ ფერს შენც აჰყევი,
ყაყაჩოს რომ გავხარ წითელს
მაგ წითელი ყელსახვევით!



* * *

რდი საბერველივით აუღ-ჩაუდიოდა.
საწოლთან დედაჩემი და კიდევ
ერთი მეზობელი ქალი ისხდნენ. ჩუ-
მად ტიროდნენ.

ტანტთან დავიჩოქე და მუხტარას
სახეში ჩავაცქერდი.

— მუხტარ! — ჩუმად დავუძახე, ჩუ-
რჩულით.

— მოხვედი, გენავ? — ასე ჭერში
თვალეზმით ვეხერხებულმა, ოდნავ გა-
საგონად იკითხა.

- ხო, რა მოგივიდა, ბიჭო?
- ეე, იცი, რა ვიფრინე?
- ძაან ცუდადა ხარ?
- ძალიან, გენავ!

მე დედას გავხედე, დედამ თავი
უიმედობის ნიშნად გადააქნია და
წინსაფარში თავი დამალა.

ექიმმა თუ ნახა, საავადმყოფო-
ში რატომ არ მიჰყავდათ მუხტარა,
ვერ გამეგო. მინდოდა დედაჩემისა-
თვის მეკითხა, მაგრამ ცრემლები
მანრჩობდა და ველარ მომეხერხებინა
ხმის ამოღება.

— იცი, რა ვიფრინე? — გაიმეორა
მუხტარამ.

— ნუ გეშინია, კარგად ვახდები,
ბიჭო! — ვთქვი ცრემლების ყლაპ-
ვით.

— რომ ვერ ჩამოგეშველე ხეო-
ბაში?

— მერე რა, შენ კარგად იყავი
და...

— ალბათ რა თბილია, არა?

— რა, მუხტარ? — უცებ ვერ მივ-
ხვდი, რაზე ამბობდა.

— ფქვილი!

— ხოო, თბილია, მას!

— დედასავით თბილი და სურნე-
ლოვანი...

— ხო, მუხტარ. გინდა, მუჭით მო-
გიტანო?

— მ ო მ ი ტ ა ნ ე, გენავ!

კარებამდე ფხაკრეფით მივედი,
მერე ტყვიასავით გავვარდი სახლ-
ში. ტომარაში ღრმად ჩავყავი ხელი,
რომ უფრო თბილი ფქვილი ამომე-
ლო. მუჭა გავივსე და აივანზე გამო-
ვედი, ეზოში ფენის გადადგმა აღარ
დამცალდა. მუხტარაანთ მხრიდან
წვილ-კივილი ატყდა. დედაჩემის
ხმა გამოვარჩიე, ხმამაღლა მოთქ-
ვამდა: ბეჟან, ბეჟანო!..
მივხვდი, რაც მოხდა.

სასაფლაო მთის კალთაზეა და ჩე-
მი სახლიდან კარგად მოჩანს. მუხ-
ტარა იქ დავკრძალებთ. მთელმა სო-
ფელმა დაიტირა.

ოთხი დღე იქნებოდა გასული, მო-
ვიდა მუხტარას ორი ნათესავი კაცი.
ეს საოხრო რომ არ ყოფილიყო, ბე-
ჟანა დღესაც ცოცხალი გვეყოლებო-
დაო, დასცხეს ვერხვს ცულები და
წააქციეს.

დედაჩემმა ბევრი უშალა, ვერხვი
რა შუაშია, ნუ მოსჭრითო. არ შეის-
მინეს, ტოტები შესხიპეს და მიატო-
ვეს.

მოვიდოდი სკოლიდან, წავიღებდი
წიგნს და ვერხვის მორზე ჩამოვჯ-
დებოდი, ვკითხულობდი და მუხტა-
რაზე ვფიქრობდი, ხან მუხტარა მე-
დგა თვალწინ, ხან მამაჩემი. წერი-
ლები არა და არ მოდიოდა. არც მუ-
ხტარას მამა იწერებოდა რამეს.

ერთხელ, ვზივარ ვერხვის მორზე
ფიქრიანი, გაბაიყუშებული და ვხე-
დავ: ჭინჭრებში ნერგია ამოსული.
ჯერ თუთა მეგონა, კარგად რომ
დავუკვირდი, ვერხვი შევიცანი. ნია-
ვზე ფოთლებს ხან იქით შეატრია-
ლებდა, ხან აქეთ. უცებ მოვიფიქრე,
რაც უნდა გამეკეთებინა, ბარი მოვი-
ტანე, ნერგი ფრთხილად ამოვიღე და
სასაფლაოზე წავედი. მუხტარას სა-
მარესთან ვერხვი დავრგე. ვიდრე
ტანი არ აიყარა და არ მომაგრდა,
წყალი არ მომიკლია, ყოველ სალა-
მოს დოქით მიმქონდა და ვუსხამდი.

მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი
გავიდა. ის ნერგი უზარმაზარ ვერ-
ხვად იქცა. პატარა ნიაფზეც კი დიდი
ამბით შრიალებს, ყველა ტოტი უტო-
კავს, ყველა ფოთოლი უთრთის. თუ
ქარი ამოვარდა, ტოტები ცალ მხა-
რეს ეზნიქება და გეგონება, ცოტაც
და ძირფესვიანად ამოსკდება, დედა-
მიწას მოსწყდება და სივრცეში გაფ-
რინდებაო.

ვუყურებ და ასე მგონია, ქარი კი
არა, ტოტებში მუხტარა შეეუყუღა,
არხევს ვერხვს, არხევს მთელი ძა-
ლით და თავის საყვარელ სიმღერას
ქარსა და ნიაფს ატანს: „მუხტარ, მუ-
ხტარ, მუხტარ, ჰე, მუხტარ შენ გე-
ნაცვალე...“



**რაზეაულის საბჭო
ანგარიშს ახარებს**

**ჰიონერულ
სიტყვას
ან
ეკალაუბრის!**

**წიგნარ
აუხანავე**

თ. ცაგარელის ფოტო

როცა ამბობენ, სკოლაში ძლიერი პიონერული ორგანიზაციააო, ეს იმას ნიშნავს, რომ დასახელებულ სკოლაში საქმე კარგად მიდის. თუკი ამ თეზისს შევატრიალებთ, იმავე შედეგს მივიღებთ, და ეს ასე-დაც უნდა იყოს: დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები ხომ ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ, საერთო წარმატების მიღწევა კი, ცნობილია, მხოლოდ ერთიანი ბეჯითი შრომით ხდება ხოლმე შესაძლებელი.


ამიტომ, როცა კომკავშირის გლდანის რაიკომში შემოგვთავაზეს მე-16 საშუალო სკოლაში მობრძანდით და რაზეაულის საბჭოს ანგარიშგება-არჩევნებს დაესწართო, ეჭვიც არ შეგვპარვია, რომ დედაქალაქის ახალი რაიონის ერთ-ერთი

სამაგალითო პიონერული ორგანიზაციის მზიანი ზეიმის მოწაწილენი გავხდებოდით.

ვარაუდში არ მოვტყუებულვართ.

ნამდვილი მაისია: მზე ჩახჩახებს, თბილა, ლაყვარდოვან ცაში ხალისიანი ჭიკჭიკით დასრიალებენ მერცხლები, სიო აშარიშურებს ჭადრისა და ალვისხის ზურმუხტოვან ფოთლებს, ჰაერი ყვავილების სურნელითაა გაჟღენთილი.

სკოლის სპორტულ მოედანზე,



თამარ ნიუნინიძე

ეს-ესაა, რაზეაულის საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ნიუნინიძემ პატაკი ჩააბარა უფროს პიონერხელმძღვანელ მაია მაისიას. შეკრება, მიძღვნილი რაზეაულის საბჭოს ანგარიშგება-არჩევნებისადმი, გახსნილად ცხადდება.

რაზეაულის ცხრა რაზმი, მისი სამასზე მეტი პიონერი მხნედ მიაბიჯებს საკავშირო ნორჩ ლენინელთა მარშის — „ლენინის სახელს ყველა გულში ვატარებთ მტკიცედ, პარტიის ერთგულებას ჩვენ საქმით დავამტკიცებთ“, მარ-

შრუტებით, — რეკავს თამარის ხმა. — საანგარიშო პერიოდში რაზეაულის ცდილობდა, დედაქალაქის მოწინავეთა რიგებში ყოფილიყო მაღალი აკადემიური მოსწრებით, სანიმუშო



მაია მაისია

დისციპლინით, შრომითი საქმეებით...

წარჩინებული სწავლითა და სამაგალითო ყოფაქცევით განსაკუთრებით ისახელეს თავი მე-3, მე-4 და მე-9 რაზმებმა, — გვითხრა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა. — მათ არა ჰყავთ არც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე. ამის მიღწევაში პიონერებს დაეხმარა მოძრაობა „კვირა ორიანის გარეშე“, აგრეთვე „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით“. ამასთან, მიზანმიმართულად, სწორად მუშაობდნენ ურთიერთდამხმარე ჯგუფები. უნდა გამოვტყდეთ, რომ სხვა რაზმებმა ვერ აუბეს მხარი მოწინავეებს. მართალია, მათაც აქვთ საგრძნობი წარმატებები, მაგრამ ხარვეზებიც საკმაოდ შერჩათ. ეს მნიშვნელოვანწილად ურთიერთდამხმარე ჯგუფების უფხო მუშაობის შედეგია.



...სიამაყით უნდა აღვნიშნო, — განაგრძობს თამარ ნიშნიანიძე, — რომ ჩვენი რაზმეული დღევანდელ შეკრებაზე შესამჩნევი შრომითი მიღწევებით მოვიდა: შეგროვდა ექვს ტონაზე მეტი მაკულატურა, დაირგო 110 ძირი ხე, სასწავლო წლის ბოლომდე გადაჭარბებით შესრულდება ჯართის შეგროვების გეგმა, შრომითი ბრიგადის წევრებმა დროულად და ხარისხიანად შეაქეთეს დაზიანებული სასკოლო ინვენტარი... აქვე ჩემი გულისტკივილიც უნდა გაგიზიაროთ: ჩვენი უფროსი მეგობრები, კომკავშირელები, მხარში უფრო აქტიურად რომ ამოგვედგომოდნენ, ოპერაციებს — „მილიონი სამშობლოს“ და „ურენგოი“ — უკეთ გავართმევდით თავს... მაგრამ ახალი კომიტეტი დახმარებას გვპირდება...

ვეტერანთა საბრძოლო ბიოგრაფია. ვეტერანები ჩვენი ხშირი სტუმრები არიან. საფუძველი ჩავუყარეთ სკოლის საბრძოლო დიდების მუზეუმს...

არაბული გვიამბობს. — მისი დიდი ზი იყო „სიკვდილის ყველა კარი ჩაიხრეთ“. დიდებული კონკურსი გამოგვივიდა...

შეკრების შემდეგ პატივცემულმა აიდა კიკნაძემ, VI კლასის (ეს პიონერული რაზმი მარჯვენაფლანგის)

მიკროფონით ხელში შეკრების წინაშე გამოდის მარჯვენაფლანგელი IV რაზმის ხელმძღვანელი თამარ სხირტლაძე.

— წარმატება თავისით არ მოვა, მის მოპოვებას ბეჯითი შრომა სჭირდება, — ამბობს იგი. — ჩვენც არ დავგიზოგავს დრო და ენერჯია და აკი მოვიპოვეთ კიდევ მარჯვენაფლანგელი რაზმის საპატიო წოდება. მაგრამ მოპოვება ერთია და შენარჩუნება — მეორე. ამისათვისაც ბრძოლა დავგჭირდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავეხმაროთ ხუციშვილსა და მახმუდოვს, რომლებიც უკან სწევენ რაზმის მაჩვენებლებს.



აიდა კიკნაძე

სკოლას კარგი შრომითი ტრადიციები აქვს, — გვიამბობს შეკრების შემდეგ სკოლის დირექტორი ოთარ ჯიქია. — შარშანწინ ჩვენი სკოლის შრომისა და დასვენების ბანაკი საბუდეში იყო, ყვარლის რაიონში. რაზმის მებრძოლებმა პირდაპირ სასწავლო მოახდინეს — გეგმა 410 პროცენტით შეასრულეს! ამ წარმატებისათვის რაზმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა... ახლა კი, აი, ამ ჩვენს ბაღა-ბაღს გახედეთ...

გვლია) დამრიგებელმა ახალსაფუძველჩაყრილი სასკოლო საბრძოლო დიდების მუზეუმი დაგვათვალისწინა: სანახევროდ უნაგით შექმნილი გერმანული მუზარადი... ჭურვის მრავალწახნაგა ნამსხვრევი... შაშხანის ცარიელი მასრა... დაწყებული ტყვია... ნახევარი ხელუშვარა... ტყვიამფრქვევის ვაზნა... გადატეხილი ხიშტი... ეს ექსპონატები ნოვოროსისისკის მიდამოებიდანაა ჩამოტანილი...



თამარ სხირტლაძე

შარშან, 25 თებერვალს, ჩავატარეთ ანტიფაშისტის დღისადმი მიძღვნილი პოლიტიკური პლაკატების კონკურსი, — ამას რაზმეულის კედლის გაზეთის რედაქტორი აკაკი

ნებლებს. საერთოდ, ჩვენს რაზმს ერთსულოვნება ახასიათებს. ყველანი ვაქტიურობთ შაბათობაზე, ვმუშაობთ სასკოლო ნაკვეთში, ვიბრძვით ელექტროდენის, წყლის, პურის ეკონომისათვის, რადგან ვიცით, რომ ეკონომია სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის ერთ-ერთი საყრდენია.



აკაკი არაბული

შეკრების შემდეგ რიტა დომოცოვს, IV რაზმის I რგოლის ხელმძღვანელს გავესაუბრეთ.

— აუცილებლად უნდა გვეწვიოთ „თბილისქალაქობაზე“, — თქვა და ლოყები შეეფაკლა, უფროსების დაუკითხავად რომ მიგვიწვია ამ ტრადიციულ სასკოლო ზეიმზე. — იცით, რა ლამაზია ყველაფერი?

... გაისად ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მეორმოცე წლისათვის ვიზეიმებთ; — განაგრძობს თამარი. — წითელკვალმაძიებელთა რაზმმა შეისწავლა მიკრორაიონის

ბის კონკურსი, — ამას რაზმეულის კედლის გაზეთის რედაქტორი აკაკი

შარშანწინ ენთოგრაფიული კუთხეები წარმოვადგინეთ — ქართული დარბაზი, გურული ოდა, სვანური კოშკი, მეგრული ფაცხა... ყვე-



რიბა
ლომთოვი

ლაფერი საკუთარი ხელით გავაკეთეთ. შარშან ძველი თბილისის სურათები გავაცოცხლეთ — ბერიკაობა, ქორწილი, თბილისური ბაზარი... ბაზარზე ძირითადად ჩვენს ბაღჩა-ბაღში მოწეული პროდუქტები „იყიდებოდა“. იცით, რამდენი ხალხი გვეწვია, რა ვიმხიარულეთ?

— ოქტომბრელები ხვალინდელი პიონერები არიან, — შეახსენებს შეკრების მონაწილეებს საყოველ-



გაია
თოღრია

თაო სწავლების შტაბის თავმჯდომარე მაია თოღრია, — ამიტომ იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ მათთან დღეს, დამოკიდებულია ძალზე ბევრი რამ... სასწავლო წლის დასაწყისშივე ოქტომბრელთა კლასები დავყავით ვარსკვლავებად, მათ შორის გავშალეთ შეკრებება სწავლასა და დისციპლინაში, გამოვეუშვით კედლის გაზეთი „ცოდნის დღესასწაული“; ოქტომბერში მოვაწყვეთ დისპუტი „ჩემი საყვარელი ზღაპა-

რი“, მერე — „შემოდგომის ზეიმი“, ნოემბერში — ლიტერატურული დილა „მარად გუგუნებდეს მეგობრობის ხმები“; დეკემბერში პატარებს მონაწილეობა მივალდებინეთ საკავშირო თამაშში „ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში“ და ასე შემდეგ... ერთი სიტყვით, ჩვენი უმცროსი მეგობრები, შეიძლება ითქვას, ერთი დღითაც არ დაგვიტოვებია ყურადღების გარეშე... თუმცა, ახლა რომ გავყურებთ ჩატარებულ

— ჩვენ ჯერ პატარები ვართ, — თქვა მან, — მაგრამ უფროსებს ათწიფერში ჩამოვრჩებით. მომავალში კი მათზე უკეთ ვიმუშავებთ...

რაზმეულის შეკრებაზე კომკავშირის რაიკომმა და სკოლის დირექციამ საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს მოწინავე რაზმები და ცალკეული პიონერები.

მერე აირჩიეს რაზმეულის საბჭოს ახალი შემადგენლობა, მიიღეს



უსახლკრო სიზარული და სიამაყე იპარობს ყოველ პიონერს დასასაუბრავი ჯილდოს — სპატიო სიგლის მიღებისას.

სამუშაოს, ვგრძნობთ, მეტის გაკეთება შეიძლებოდა...

მართალი, კრიტიკული სიტყვით გამოვიდა მიხეილ გამყრელიძე, VIII რაზმის (IV კლასი) საბჭოს თავმჯდომარე.



მიხეილ
გამყრელიძე

მომავალი წლის სამუშაო პროგრამა — გაფართოებული, შევსებული, გაზრდილი ვალდებულებებით. მასში გათვალისწინებულია მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცება, გაღრმავება და გაფართოება, ახალ სიმაღლეთა დაპყრობა საკავშირო პიონერული მარშის გზებზე.

ჯერ შემთხვევა არ ყოფილა, მე-თექვსმეტეკოლელ პიონერებს აღებული სიტყვისთვის, ნაკისრი ვალდებულებისათვის ეღალატოთ, და ყველას, დიდსაც და პატარასაც ეიმედება, რომ ისინი არც ახლა შეირცხვენენ თავს, რამეთუ კარგად იციან: რაზმეულის ალისფერი დროშის წინაშე ნათქვამ საზეიმო დაპირებას არ ეღალატებენ!

ესტატი



— წიგნს მოკიდე ხელი, თვარა ერმალის ბიჭივით ილაყუნებ აღმა-დაღმა, — მიჩიჩინებდა ესტატი ბაბუა დღენიადაგ. მის წყენინებას თავით სარილის ნაყვა მერჩივნა. გამოვიტანდი ჭიკოიას ნაქონ წიგნს, ჩამოვჯდებოდი ნიგვზის ჩეროში ძველი ბურისთავის ქვაზე და ისე ხმამაღლა ვკითხულობდი, გაღმელი თანატოლები რიკტაფელას თამაშის დროს, წაუკითხავად სწავლობდნენ სახვალის გაკვეთილს. სკოლიდან მაინც ისეთი ნიშნებით ვბრუნდებოდი, სხვადასხვა მიზეზით მტერ-მოყვარეს რომ ვერ გაუმხელს კაცი, სულ წკიპზე ეკიდა ჩემი კლასიდან კლასში გადაყვანა. მეშვიდე კლასამდე ვაჯახირებდი მასწავლებლებს, ბაბუას და საკუთარ თავს. მეშვიდეში ბოლო გამოცდა ვერ ჩავაბარე... სახლში დაყურული დავბრუნდი.

— გაგიწყრა გამჩენი, ხომ?! — შემომიღრინა ბაბუამ, ახლად გამოკვერილი თოხი ხელუკულმა ისროლა და მარცხენათი, რომელიც ბარეორის მარჯვენას ჯობს, თქვენგან მოწონებული ალიყური მცეცხლა. უკულმა დატრიალდა ბაბუასეული ეზოგარემო და ვანიჩკას მინდორში რომ მწარე ბაღს ვხედავთ თავი, უკან მაშინლა მოვიხედე, რა მომარბენინებდა-მეთქი.

— ფეხი არ მოიცვალაო, მაქ მომიცადე, — მომადანა ესტატი ბაბუამ. სადღა წავიდოდი. ხის ძირში ჩამოვჯექი გულზე გასიებული და თვალი მივაღვენე — მზე როგორ იხარჯებოდა საწვიმრად შემზადებულ ღრუბლებში. ვინატრე წვიმა, კოკისპირული, ამას წინათ რომ იყო, ისეთი წვიმა. მაგრამ მზემ ისევ მალე შემოიფლითა საავდრო სამოსელი და კვლავ გამოეჩინა ვანიჩკას კოპიტებში. თავი ჩავხარე. ახლა ჭიანჭველებს

დავაკვირდი, ჩემს ფეხებთან, მიწაზე ცოცხალი ხაზი რომ გაებათ და საქმიანად დაქუცქუცებდნენ. მალე ისევ ჩამოიქუფრა. ავიხედე. ახლა ესტატი ეფარებოდა მზეს. ორ თოხზე ჩამოყრდნობილი მომჩერებოდა. გამომიწოდა ერთი თოხი და უკმენად მითხრა:

— მოკიდე ხელი ამას, მეტი მაინც არაფერი გამოვა შენგან. — წინ გამიძღვა ნაგვიანვეი ყანისკენ. — საღამომდე ორ სვრელს გავიტანთო, — უკანმოუხედავად მესროლა, და მის ხმაში ძველებურად თხოვნა კი არა, ბრძანება ისმოდა. „უარესი მეკუთვნის“, — ვფიქრობდი გულჩაწყვეტილი და ბალახმოძალებულ მიწას დაბოლმილი ვჩორკნიდი. რაღაცნაირად ესტატიც აჯოჯოხეთებდა თავის ხასიათს. აწრიალებულს ფიქრებს ისე მივუხვდი, თითქოს ხმამაღლა ეთქვას: „რავა დავამახსოვრე ხელი ამ ხელა ბიჭს; სხვა დროს მეტი ეკუთვნოდა, ვერ გავიმეტე, ახლა რა ჯანდაბა მეტაკაო; მერე რაფერი დიდგულაა, ნახე, რამდენ ხანს იქნეს ჩემზე გულმოსულიო; სულ მამამისის ხასიათი აქვსო ამ ვირისთავს“.

ერთი სვრელი ისე გავიტანეთ ხმა არ გაგვიღია, დროდადრო ქურდულად გავაპარებდით ერთმანეთისაკენ მზერას.

ყანის თავში ჩამოჯდა ესტატი, თუთუნს მოუკიდა.

— დაჯექი, ბაბუა, მუხლი მოატყუე, — მითხრა თოხის ტარზე ჩამოსვენებულს და მტყუანივით გაელიმა. მისი ღიმილი წელანდელ მზეს ჰგავდა, ღრუბლებიდან რომ ძლივს დააღწია თავი. მერე მზერა მომარიდა. ყინული გამდნარიყო. გული ამიჩუყდა. ცრემლი მომეძალა. მარტო რომ ვყოფილიყავი, ვიტყვებდი ალბათ. მინდოდა მივვარდნილიყავი და ჩავხვეოდი, მაგრამ ეს რომ გამეკეთებინა, ველარ შევიკავებდი შიგნიდან მომსკდარ ნაღველს, მხოლოდ ტირილით რომ მოიფონებს კაცი. ისლა მოვახერხე, გვერდით მივუჯექი და მიწას ჩავაშტერდი. არ მინდოდა, ჩემი ცრემლით დაბინდული თვალები ენახა. მოხუცმა იმ ხელით, რომლის კვალი ალბათ ჯერაც მაჩნდა სახეზე, თმა ჩამომფარცხა. ამას კი ველარ გავუძელი და სასწაულით შეკავებულმა ცრემლებმა თავისი გზა ნახა. სახე მუხლებში ჩავმალე. ესტატიმ მადროვა, სანამ გულს მოვიოხებდი.

— ყური მათხოვე, — ისე დაიწყო, ჩემკენ არ გამოუხედავს, — შენ ჯერ ბავშვი ხარ, თავსაყარი ოქრო გაქვს ხელში. ეს ოქრო — დროა! ოქროს ჭკუით უნდა მოხმარა, თუ

არა, ისე შემოგეფცქვება, უკან მოხედვას ვერ მოასწრებ. არ მინდა, ცხოვრებამ დაგჯაბნოს. შენთვის ვამბობ და ქვეყნისთვის, ბაბუა, თორემ ჩემთვის, კაი ხანია, შემზადილი უნდა ჰქონდეს კაცს ოთხი ფიცარი. არც ის ვარგა, მიუწვდომელს შეეპოტინო, მთავარია ადამიანი იყო, იცოდე სიტყვისა და საქმის ფასი. ისე, რასაც გააკეთებ, კარგად გააკეთე და ეგაა. ღმერთმა აცხონოს ბაბუაჩემი ქველი. კაცს თუ სიტყვას ეტყოდა, მოკვდებოდა, მაგრამ შეასრულებდა. ის რომ ჩონხას შეეკერავდა, იფ!.. ახლა მამაჩემს არ იკითხავ?! მასეთი მჭედელი სად იყო! რობაქოს დამლიან წალღს თუ ნაჯანს, ცელს

თუ ნამგალს ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს ჩხარის ბაზარზე, აბა!

არაფერი მიპასუხნია. წამოვდექი, ბროწეულის საქარში შედგმული თუნგულა გამოვიღე. — დალიე-მეთქი, — გავუწოდე ჯერ შენ გეკუთვნისო, მანიშნა. მოვსვი, მერე ცოტა მიწაზე გადავღვარე, როგორც ბაბუამ იცოდა. მოხუცმაც მოიკლა წყურვილი. დოქს ლეღვის ნემო დაახურა და კვლავ საქარში შედგა.

თონხა ისევ უხმოდ გავაგრძელებთ.

„საოცარი კაცია ესტატე ბაბუა, — ვფიქრობდი ჩემთვის. — ქველი და რობაქო მომაგონა, თავისთავზე არაფერი დასცდენია. არადა, ასეთი ოსტატები სადღა არიანო, — ასე თქვა მუზეუმიდან მოსულმა კაცმა. შარშან

ბაბუას ნახელავი ქამარ-ხაჩჯალო და ვერცხლის სასმისი რტქე წაჩქარეს ბოლო ხანს გასივდა კაცი გულზე-ველარაფერს აკეთებს. არც ხელი უჯერებს, აღარც თვალი უჭრის ძველებურად. ხულაში ხშირად შედის, გადაფერთხავს მტვერს, გაწმენდს ხელსაწყობებს, ცოტა ხნით ჩამოჯდება, იმ სიმღერასაც წაიღიღინებს, მუშაობისას რომ იშველიებდა. უადგილო ადგილას გაუწყდება ხმა. მერე ეშმაკს შეაფურთხებს, სიბერის მომგონს დასწყევლის და გარეთ გამოდის. ამ დროს იმაზე ხნიერი და მოტეხილი გეგონებათ, ვინემ სინამდვილეშია. მხრებჩამოყრილი და მობუზული ჩაშტერებია მიწას, თითქოს რაღაც დავიწყებულის გახსენებას ცდილობსო, მერე უცებ მხრებს გამლის, წელში გასწორდება და, წლები ჩამოიფერთხაო თითქოს, წინ ისევ თვალმოჭუტული ჩემი ბაბუა, ნამდვილი ესტატე დგას“.

მეორე სვრელი რომ ავათავეთ, მზე შინდოვნის მთაზე ჩამომჯდარიყო. ცოტა ხანს დაღლილი კაცივით იყურა იქიდან, მერე თვალი ჩაუკრა სოფელს და გაუჩინარდა. წყაროზე ხელ-პირი დავიბანეთ. თუნგულა ახალი წყლით ავავესეთ და სახლისაკენ გავწიეთ.

საურმე გზაზე ფეხშიშველი, ტანშოლტანა გოგო მოაბიჯებდა. ქარს თავის ჭკუაზე აეყოლიებინა მისი გრძელი თმა და მოკლე კაბა. ვერ ვიცანი ასე შინაურულად ჩაცმული უცხო გოგო. მანაც დაიჭირა ჩემი დაჟინებული მწერა. თვალი მომარიდა და ღობის გასწვრივ ჩარიგებულ ტირიფებს ნაწყენივით რაღაც წაუბუზღუნა. მერე ისევ მომხედა და კვლავ ტირიფებს ჩააცივდა.

— დამუწე, ბაბუა, პირი და წამოდი, ამ საურმე გზას მალე სამანქანოდ გადააკეთებენ და მაგისთანები აივლ-ჩაივლიან?! — შემაფხიზლა ესტატემ. კი ვიცოდი, გზას ბევრი ამვლეულ-ჩამვლეული რომ ჰყავს, მაგრამ იმ უცხო გოგოს ევლო, ძალიან მინდოდა. წელმოწყვეტილივით გავაგრძელე გზა.

ესტატე ჩემკენ მობრუნებულიყო,



თოსზე ორივე ხელთან ერთად ნიკა-
პიც ჩამოესვენებია და სახეზე ღიმი-
ლშეყინული იყურებოდა. ვერ მივ-
ხვდი, მე მომჩერებოდა თუ ბინდო-
ძალებულ სოფელს ჩასციებოდა. წინ
ავესვეტე. ყურადღება არ მოუქცე-
ვია, ალბათ მისმა ბებრულმა მესხიე-
რებამ წლებწაფარებული, გულის კუ-
ნჭულში ჩარჩენილი ტკბილი მოგო-
ნება ამოატივტივა და შიგ გაეჩნირა.

— ბაბუა, ვისია თუ იცი, ის გოგო?
— ვკითხე გაუბედავად.
— აჰ! — უაზროდ შემომხედა მო-
ხუცმა. — ჰოო! ის გოგო? ბაბილინას
შვილიშვილია, ლულუკა, წელს არ-
დადეგებს ჩემთან გაატარებსო, ბე-
ზიამისმა.


— აჰაჰ!
— მოგეწონა, თუ?
— არა, კაცო, ისე...
— ისე შეიძლება, მარა შენისთანა
თოსმომარჯვებული ბიჭისთვის არ
ეცლება მაგას. ბაბილინასაც ბევრი
უპრაწავდა თვალებს, მისი ხათრით
მეც წამდაუწუმ ვისწორებდი ქო-
ჩორს.

— მერე?!
— მერე ჩემი ქოჩორის სწორებაში
ღიმიტრემ სამხედრო სასწავლებელი
დაამთავრა, ჩამოვიდა სოფელში აფ-
იცრის ფორმაში გამოწყობილი, სტა-
ცა ხელი ქურციკით — გოგოს და
მეორე კვირას ქორწილში მიგვიპა-
ტიჟა. ასეა, — ამოიხვნეშა ესტატემ.
თონი ყუით დაჰკრა მიწას, დაღამე-
ბულაო, თქვა და სახლისკენ წალას-
ლანდა.

მთელი ღამე არ მიძინია. ამოვი-
დე თავქვეშ ხელები და ვფიქრობდი
იმ გოგოზე, ლულუკას რომ ეძახდ-
ნენ, სარკესავით თვალები რომ ჰქო-
ნდა, შიშველ ფენისგულეებს რომ აჩ-
ვევდა სოფლის მარაგზას...

ცის იმ ნაწილზე, ჩემი ფანჯრიდან
რომ მოჩანდა ღრუბლებს შორის.
ერთი ვარსკვლავი კიაფობდა, სხვა
დროს ყურადღება არ მიმიქცევია.
ანლა სულ სხვანაირად კაშკაშებდა
ის დალოცვილი.

იცი თუ არა



ქართული
თეატრისთვის

საქუაროში

ნანა ზავლანიშვილი

— აგოშ! ადრუა! შენე! დემი პლიე!
რელევე! (მარცხნივ! მარჯვნივ! წრი-
ული ტრიალი! ნახევარ-ჩაჯდომი!
ტერფებზე აწევა!) — ისმის მასწავ-
ლებლის ხმა.

შველივით კოხტა გოგონები მონ-
დომებით იმეორებენ, უკიდურესობა-
მდე ხვეწენ ერთსა და იმავე ილეთს.
ასე მეორდება ყოველდღე, ყოველ
გაკვეთილზე — რეპეტიციები, საწა-
რმოო პრაქტიკა, მუდმივად „ფორმა-
ში ყოფნა“, გაკვეთილები, გაკვეთი-
ლები... აქ, თბილისის სახელმწიფო
ქორეოგრაფიულ სასწავლებელში,
ყოველთვის ასეთი სამუშაო ატმოს-
ფეროა.

ძნელია, არა?
ირმა ნიორაძე: რას ამბობთ, იმაზე
დიდი ბედნიერება ვერც კი წარმო-
მიდგენია, ვიდრე კლასიკური ცეკვის
გაკვეთილებზე მეცადინეობაა. ბავშ-
ვობიდან ვოცნებობდი აქ მოხვედრა-
ზე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ
ჰქონდა, როცა ჩავირიცხე. იცით,
ჩვენს მშობლებს ექვსი ქალიშვილი
ვყავართ, სამნი აქ ვსწავლობთ. უფ-
როსმა, მანანამ, უკვე ორი წელია,
სასწავლებელი დაამთავრა და ამჟა-
მად ოპერის თეატრში მუშაობს მსა-
ხიობად. მადონა მე-6 კლასშია, მე
კი — მეშვიდეში. დიდი დატვირთვის
მიუხედავად (დილის 9 საათიდან

საღამოს 8 საათამდე), ერთი წუთი-
თაც არ მინანია აქ ყოფნა. ვმეცადი-
ნობ მუსიკაშიც, ვსწავლობ თბილი-
სის მეოთხე მუსიკალური სკოლის
ვიოლინოს კლასში, ჩემი ოცნებაა,
კეთილი და მომხიბლავი ყიზელის
პარტიის შესრულება. ვიცი, რომ
ბალეტის ხელოვნება ძალიან რთუ-
ლია, მაგრამ ჩემი ოცნების განსა-
ხორციელებლად ძალასა და ენერ-
გიას არ დავიშურებ.

იცით, კიდევ რა მიხარია? —
ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და
პარასკევს ოპერის თეატრში რეპე-
ტიციებს ჩვენი სათაყვანო ვახტანგ
ჭაბუკიანი გვიტარებს. დალილ-და-
ქანცულნი ვუსმენთ მის შენიშვნებს
და დარიგებას, ცვდილობთ, არ გამო-
გვრჩეს არც ერთი სიტყვა.

სოსო ძნელაძე: ბალეტის სიყვა-
რული მამისაგან გადმომეღო, ისიც
ხომ ჩვენი სასწავლებლის აღზრდი-
ლია, ამჟამად კი თბილისის ოპერისა
და ბალეტის სახელმწიფო თეატრში
მუშაობს, რომლის სცენაზე ბევრი
საბალეტო სპექტაკლი მიწაწავს. სა-
ხელოვანი ბალეტის ოსტატებზე ბევ-
რი წიგნი წამიკითხავს.

ჩემი ოცნება იყო სასწავლებელში
მოხვედრა, და რა ბედნიერი ვიყავი,
როცა თვით ვახტანგ ჭაბუკიანმა შეა-
მოწმა ჩემი მონაცემები. შემდეგ კო-
ნკურსში მივიღე მონაწილეობა და
ჩავირიცხე კიდევ.



ჩვენი მოსწავლეები მონაწილეობენ თბილისის ისტორიული ძეგლების შესწავლაში, რამდენი საგულისხნო და საინტერესო რამ გავიგეთ ამ ძველი და მარად უბერებელი ტაძრების შესახებ; ვაძუშავებთ თემებს, ვუშვებთ გაზეთ „ძეგლის მეგობარს“.

გული მწყდება, რომ ჩვენთან გოგონები ჭარბობენ, ზოგიერთ ჩემს თანატოლ ბიჭუნას ბალეტი ვაჟაკაჟურ პროფესიად არ მიაჩნია, მაგრამ ისინი სასტიკად სცდებიან. ცეკვა ხომ ჭეშმარიტი ხელოვნებაა, ღრმად გააზრებული და ადამიანის სულიერი სამყაროსთვის აუცილებელი. ასე რომ ყველამ იფიქროს, მალე ქართულ ბალეტს მამაკაცის როლის შემსრულებელი არ ეყოლება. არადა, რა ვარსკვლავები გვყავდა — ვახტანგ

ჭაბუკიანი, ზურაბ კიკალეიშვილი, ვახტანგ გუნაშვილი, ბიჭიკო მონავარდისაშვილი და სხვები! მათი ოსტატობა და ვირტუოზობა სწორედაც რომ სანუკვარი და საოცნებოა ახალგაზრდობისათვის... საბედნიეროდ, იმ ზოგიერთივით ყველა არ ფიქრობს და ალბათ მომავალში მდგომარეობა გამოსწორდება.

სოფიკო ადამია: რატომ მიყვარს ბალეტი? იმიტომ, რომ ცეკვის საშუალებით შემიძლია გამოვხატო ჩემი გრძობები — მწუხარება თუ სიხარული, გაბრაზება თუ აღმაფრენა. ძალზე დაძაბულია მოცეკვავის ყოველი დღე, მაგრამ სიყვარული და ინტერესი ყველა წინააღმდეგობას ზაძღვევინებს.

ზშირად მიოცნებია, ხალხით გაჭედილ დარბაზში მეცეკვა მომაკვდავი გედი... აი, იგი გამოდის ფრთებმოტეხილი, სიკვდილს ებრძვის, თანდათან ძალა ელევა, უკანასკნელად გაიბრძოლებს და კვდება. სიკვდილში გაიმარჯვა, მაგრამ არა, სიკვდილში კი არა, ნამდვილმა ხელოვნებამ გაიმარჯვა, რადგან მაყურებელს სიბრაულისა და სინანულის გრძობა გაუღვიძა, თვალებში კი ცრემლები აუკიფა.

რა უნდა იყოს ხელოვანისათვის ამაზე ძვირფასი და სანატრელი, ვიდრე ხალხისათვის სულიერი სიმდიდრის გადაცემა, მასში კეთილი გრძობების ვალვიძება?

აი, ამაზე ვოცნებობ, ამიტომაც ავირჩიე ეს ურთულესი პროფესია. დიდი შრომაა საჭირო, მაგრამ, ვფიქრობ, დაუძლეველი არაფერია.

... თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი...

1852 წლის 5 ოქტომბერი... თბილისელი მაყურებელი პირველად გაცნო კლასიკურ ბალეტს ფ. ტალიონის „სილფიდების“ მეორე მოქმედების ნაწყვეტით. ამის შემდეგ თბილისში გასტროლებზე ჩამოდიოდნენ რუსული ბალეტის ვარსკვლავები და მთელი საბალეტო ჯგუფები.



1916 წელს ყოფილი ბალერინა მარია პერინი თბილისში ხსნის პირველ კერძო საბალეტო სტუდიას, რომელიც 1920 წლიდან ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელმწიფო საბალეტო სკოლად გადაკეთდა. 1935 წლამდე მარია პერინი ამ სკოლის დირექტორიც იყო და წამყვანი პედაგოგიც. 1934 წელს ცნობილი ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის მეცადინეობით მ. პერინის სკოლა ქორეოგრაფიულ სტუდიად გადაკეთდა. 1935 წლიდან მას ქორეოგრაფიული სკოლა ეწოდა, 1951 წლიდან კი — სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი.

1951—1977 წლებში სასწავლებელს ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური

და სახელმწიფო პრემიების მფლობელი ვახტანგ ჭაბუკიანი, მთელი თავისი ნიჭი, ენერგია და მდიდარი გამოცდილება ბალეტის ოსტატების აღზრდას მოახმარა. იგი დღესაც არ წყვეტს კავშირს სასწავლებელთან — მისი მთავარი კონსულტანტია.

ამ სასწავლებლის აღზრდილები არიან არა მარტო ჩვენი საამაყო მოცეკვავეები, არამედ ისინიც, ვინც სულ ახლახან გამოვიდნენ სცენაზე და უკვე დაიპყრეს მაყურებელთა გულები; ნათელა არობელიძე, თამაზ თამხაძე, ვლადიმერ ჯულუხაძე, ზაქრო ამონაშვილი, ნინო ანანიაშვილი, ალა ხანიაშვილი და სხვები.

სასწავლებლის დღევანდელ ცხოვრებაზე მოგვითხრობს მისი დირექტორი ბარამ ბარამიძე:

— ყოველწლიურად ივნისში ახალნაკადს ვღებულობთ. მოსწავლეებმა სამი ტური უნდა გაიარონ. I. პროფესიული მონაცემები (პლასტიკა, მოქნილობა); II. სამედიცინო შემოწმება; III. მუსიკალურ-რიტმული მონაცემების შემოწმება. სპეციალობასთან ერთად მოზარდებს ზოგად განათლებასაც ვაძლევთ. პროფილური საგნებიდან ბავშვები ეუფლებიან კლასიკურ ცეკვას, სახალხო-სცენურ და ისტორიულ-ყოფითს ცეკვებს; საგანგებო ყურადღება ეთმობა მუსიკალურ-რიტმულ აღზრდას, დუეტურ-კლასიკურ აღზრდას, მსახიობის ოსტატობას, გრიმს, სუნთქვით ვარჯიშებს და სხვ. თუ ხუთი წლის განმავლობაში მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები არ გაღრმავდა და



არ განვითარდა, მას სასწავლებლიდან ვითხოვთ. რეაკლასდამთავრებულ გოგონას თუ ყმაწვილს ნებისმიერ სკოლაში შეუძლია სწავლის გაგრძელება.

ამჟამად 180 მოსწავლე გვყავს, თითოეულ ჯგუფში 14-15 მოსწავლეა. ჩვენი აღსაზრდელები განსაკუთრებული სიხარულითა და მონდომებით ამზადებენ გამოსაშვებ სპექტაკლებს. ახლა ისინი „მძინარე მზეთუნახავზე“ მუშაობენ.

ჩვენი მოსწავლეები მონაწილეობენ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებში — „დონ-კიხოტში“, „ქეთო და კოტეში“, „დაისში“... სახეანთებულნი მიდიან ბავშვები თეატრში, ეს ხომ მათი დაოსტატების კერაა, აქ ეჩვევიან ისინი სცენას, ივითარებენ პლასტიკას, ხვეწენ მოძრაობებს.

ყოველ ოთხ წელიწადში ტარდება ქორეოგრაფიული სასწავლებლების საკავშირო დათვალიერება. 1980 წელს ლენინგრადში წარმოვაჩინეთ ჩვენი ხელოვნება, ამ შემოდგომაზე კი ქ. პერმში წარვდგებით მკაცრი ეტიურის წინაშე.

წარმატებები საკმაოდ გვაქვს, მაგრამ მეტის გაკეთებას შევძლებდით, სათანადო ბაზა რომ გვქონდეს. ამ ბოლო ხანებში კი მდგომარეობა ძალზე გართულდა. წარმოიდგინეთ, რომ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთი სარეპეტიციო ჰაბაზი, ამიტომ გაკვეთილები წშირად დერეფანში ტარდება; შენობა მოძველებულია... მოკლედ, გვიჭირს. ამას გარდა, ძალზე სუსტად მიმდინარეობს მოზარდთა შორის საბალეტო ხელოვნების პოპულარიზაცია. არ ტარდება ბალეტის მოყვარულთა და ახალგაზრდა ქორეოგრაფთა დათვალიერებები, შეხვედრები, კვირეულები, კონკურსები. ფაქტობრივად ინტერნატი არა გვაქვს, ამიტომაც ვერ ვიღებთ ნიჭიერ ბავშვებს რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან. დაბალია სამედიცინო სამსახურის დონე.

შექმნილი მდგომარეობის შესახებ იმსჯელა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. კომკავშირმა შეფოხა გამოაცხადა ქართული საბჭოთა საბალეტო ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. დაისახა ღონისძიებანი, რომელნიც უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებენ კურსდამთავრებულთა უზრუნველყოფას სამუშაო ადგილებით პროფესიის მიხედვით. საბალეტო ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად დაწესდება სასწავლებლის მოსწავლეთა კონკურსები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან მოწვეული საბალეტო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომად-

გენლებიც. პერიოდულად ჩატარდება ახალგაზრდა ბალეტის მოყვარულთა და ქორეოგრაფთა ფესტივალები, კვირეულები, შეხვედრები. საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით რესპუბლიკის რაიონები დაიყოფა ზონებად, შეიქმნება სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ქართული საბალეტო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. ეს ბრიგადები ადგილებზე შეარჩევენ ნორჩ ტალანტებს.

პირველი და ძირითადი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ამ შემოდგომაზე ორჯონიკიძის ქუჩაზე გამოგვიყოფენ კეთილმოწყობილ შენობას. გვექნება ცხრა (!) სარეპეტიციო დარბაზი, სასწავლო თეატრი და სამოცდაათადგილიანი საერთო საცხოვრებელი. მაშინ უფრო თამამად შევძლებთ რაიონიდან ჩამოსული მოზარდების მიღებას. მუშაობის სრულყოფაში, მონდომებასთან ერთად, ცხადია, ახალი ბაზაც შეგვიწყობს ხელს. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ნამდვილი ოსტატები აღვზარდოთ და ბალეტის ცნობილ ვარსკვლავთა გვერდით ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულებიც ვიხილოთ.

ბედნიერად გველოთ ხელოვნების ურთულეს გზაზე, ბალეტის მომავალ ოსტატებო!

ბედნიერად გველოთ ხელოვნების ურთულეს გზაზე, ბალეტის მომავალ ოსტატებო!

ბედნიერად გველოთ ხელოვნების ურთულეს გზაზე, ბალეტის მომავალ ოსტატებო!





საქართველო გაცემის

ზეალ მახალა

მხატვარი ზ. ლინისაძე

მ ო თ ხ რ ო ზ ა

ბიჭი სადარბაზოდან გამოვარდა. შეუჩერებლივ, ცქვიტად მიიხედ-მოიხედა და სწრაფად განაგრძო გზა. ეტყობოდა, ტანი უცებ აყვარა და მოსწავლის ფორმის შარვალი კოჭებამდე ძლივს სწვდებოდა, ხოლო პიჯაკის სახელოები მაჯებს ველარ უფარავდა. სახელურაგლეჯილი, პასტით აჭრელებული ნაცრისფერი ჩანთა ამოელღიავებინა და ჯიბეებში ხელებჩაჩრილი თავდაღმართში მილიღინებდა.

ადრიანი გაზაფხულის ბურუსიანი, ცივი დილა იყო. ჟინვლავდა. ბიჭმა ღვინის აღმართი ჩამოირბინა და მეტენის ხიდისკენ რომ გაივარა, შენიშნა, ხიდზე ხალხი მოგროვილიყო და მარჯვენა მოაჯირიდან წყალში იყურებოდა. გამვლელ-გამომვლელები იქ ჩერდებოდნენ, სადაც მდინარე ნაპირში ღრმად იჭრება და დამდოვრებული მორევს ქმნის.

ბიჭმა ხიდზე აირბინა. ვიღაც ჭარმაგი მოსიერე ხალხის რიგს გამოეყო. ბიჭი წინ გადაუდგა. კაცმა კუშტად შემოხედა.

— ძია, რა მოხდა? — ჰკითხა.

— ძალღი იხრჩობა, — გაბრაზებით მიუგო კაცმა, გვერდი აუქცია და გზა განაგრძო.

ბიჭი მიტრიალდა და მოაჯირისკენ გაიქცა. მოურიდებლად გაძვრა-გამოძვრა ხალხში, ვიღაცების იდაყვებს შორის გვერდულად ჩაეჭედა, კისერი წაიგრძელა და მდინარეში გადაიხედა. ამღვრეული, ბალახისფერი მტკვარი, თითქოს საკუთარი სისავსით დაღლილი, მდოვრედ მოიზღაზნებოდა. მორევს მოთეთრო-მოყანვისფრო ქაფი მოსდებოდა და ფიჩხის ნამტვრევებთან ერთად ტრი-

ალეზდა შეუჩერებლად. ჯიუტად, აუჩქარებლად. ბიჭი დაჟინებით ჩასცქეროდა წყალს, მაგრამ ძალღს ვერ ხედავდა. ის იყო, უნდა ეკითხა, სად არისო, უცებ მორევის კიდე-თან მოჰკრა თვალი — ძალღი თავ-განწირვით ებრძოდა უხილავ ჯებირად ქვეულ მდინარეებს. ეტყობოდა, გრძნობდა, უფრო სწორად, იცოდა, რომ არ უნდა შესულიყო მის ზურგს უკან მბრუნავ იმ საბედისწერო წრეში, თორემ თავს ველარ დაღწევდა. წრე დიდი იყო — სპირალისებური, ტრიალა, ცენტრისკენ თანდათან ვიწროვდებოდა, უზარმაზარ ძაბრს ემსგავსებოდა, რომლის განუწყვეტლივ მოძრავი კიდეები თანდათან დაბლა ეშვებოდა და წყლის უშველელი მასა მის ყელში ინთქმებოდა. ძალღი თავდაუზოგავად ცდილობდა, როგორმე გასცლოდა მას, მაგრამ მორევი ნელ-ნელა ითრევდა თავისკენ. ვიღაც ახალგაზრდამ ორჯერ ესროლა ქვა. პირველი მოშორებით ჩავარდა, მეორე ოღნავ ასცდა.

— ხალხო, ცოდვია, უშველეთ რამე! — ცრემლნარევი ხმით მიმართა შეკრებილთ მაღალმა ქალიშვილმა.

— როგორ უნდა უშველო, მაგის გულისთვის ვინ გიფი ჩავა ახლა იქ! — გაიცინა ტყავის პიჯაკიანმა ღიპიანმა კაცმა. — აგერ, მილიციელი მოდის და იმას მიმართეთ, იქნებ უშველოს.

ქალიშვილი მართლაც მივიდა მილიციელთან, რომელიც მოაჯირს მიჩხულ ხალხს მიუახლოვდა. შავტუნა თხელი ჭაბუკი იყო, 23-24 წლისა იქნებოდა.

— ძალღი იხრჩობა, უშველეთ რამე! — მუდარით უთხრა ქალიშვილმა და მოიბუზა.

— მერე მე რა ვუშველო, გოგო? — ღიმილით უთხრა ბიჭმა. — ხომ არ გინდა, იმ უპატრონო ძალღისთვის აქედან გადავეშვა?

ქალიშვილმა ხელი ჩაიქნია და უსიტყვოდ გაშორდა.

ძალღს მიჩერებულ ბიჭს ხალხის ხმაური სადღაც შორიდან ჩაესმოდა. მორევმა, თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალღი მბრუნავ წრეში ჩათრია და თავის ნებას

დაუმორჩილა. საბრალოდ წინააღმდეგობა ცხვირი მაღლა აეშვირა და უმეცრეადა მისერავდა წყალს. მიდევნებული წყლის ზოლები მორევის კიდეებს უერთდებოდა, ხოლო განასერი წყალი კეფის ქვემოთ ისევ ერწყმოდა ერთმანეთს და ერთ მსხვილ, ტალახისფერ ხაზად მისდევდა. ბიჭი ხედავდა, თანდათან როგორ ვიწროვდებოდა საბედისწერო წრე და გული უფრო და უფრო ეკუმშებოდა. ყურებშიც თანდათან ჩაუდგა ხმაური და იგრძნო, როგორ დაებერა საფეთქლის ძარღვები. ძალღი კი თანდათან უახლოვდებოდა მორევის ყელს. უეცრად დასცხა და ნერწყვამშრალმა პიჯაკის ღილები შეისხნა. მოსვენებადაკარგულმა სანაპიროზე ჩაირბინა და ჯებირს გადაეყუდა. აქედან მდინარის ზედაპირი ახლო იყო და უფრო შემაზრზენი ეჩვენა. მღვრიე წყალს კალაპოტი გაესივსივებინა და საკუთარი სხეულით გაჯერებული მიიზმორებოდა. ბიჭმა მოაჯირთან იმ დროს მიირბინა, როცა მორევმა ძალღი მისკენ შემოაბრუნა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. გუგებგაფართოებული, სასოწარსოცილი, შეძრწუნებული თვალები შევლას ითხოვდნენ, უხმოდ ყვიროდნენ, იხვეწებოდნენ. ბიჭს გული ისე აუძგერდა, ლამის მკერდი გამოეგლიჯა. სახეწამოსურებულს, სმენადახშულს ჩანთა ხელიდან გაუვარდა. მის ასაღებად რომ დაიხარა, უცებ ფეხსაცმელზე წაივლო ხელი და გაიძრო. მერე უკვე აღარ ახსოვდა, როგორ გაიხადა ტანსაცმელი და არც ის გაუგია, სიცივე და წვიმის გრილი წვეთები რომ მიეშუშხა ტანს. კანახორკლილი, ტრუსისამარა მოაჯირზე შესტა და ხალხმაც მაშინ დაინახა პირველად.

— რას შვრები, ბიჭო, ხომ არ გიყვდი, შე მამაძაღლო! — ხიდიდან ხელების ქნევით დაუყვირა ვიღაც ხნიერმა კაცმა.

— ბიჭო, არ გადაირო!

ბიჭს თითქოს არაფერი ესმოდა, ოღნავ აიწია და ჯებირს მომწყდარი ტალახისფერი მორევისკენ თავით დაექანა. ხალხი სანაპიროსკენ სირბილითა და ხმაურით დაეშვა.

ბიჭმა, წყალში შეიჭრა თუ არა. წამოიყვირა, მაგრამ ხმა ყელს არ გამოსცდენია. ერთიანად შეკუმშული, სუნთქვაშეკრული, მეყსეულად ამოტრიალდა წყალქვეშ და სწრაფად ამოყვინთა. თავი გაიქნია, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და თვალები რომ გაახილა, დაინახა: ძალღი მის წინ ტივტივებდა. მორევს თითქოს გულმა უგრძნო, მსხვერპლს მართმევენო, ტრიალს მოუჩქარა და ძალღი თავაწყვეტით გააქანა. ბიჭმა ღონიერად გაიქნია მკლავები. უცებ ძალღმაც იგრძნო, მის საშველად რომ მოდიოდნენ და უზარმაზარი ძალღისხმევით შემობრუნება იწყო.

— ნუ გეშინია, მოვდივარ, ძმაო, მედორ! — წაიჩურჩულა ბიჭმა. უცებ წამოსცდა ეს სახელი და მაშინვე ის ძალღი მის საყვარელ მედორად იქცა. — გამაგრდი, ძმაო, მედორ! — ეჩურჩულებოდა ძალღს, უფრო სწორად, საკუთარ თავს ამხნევებდა. იგი თითქმის ველარ გრძნობდა ვათოშილსხეულს, მაგრამ კარგად სედავდა სიცოცხლეს ჩაფრენილი მედორის თვალებს, იმედი რომ უკიაფებდა შიგ. ძალღი მორევს თავს ვერ აღწევდა, ადგილზე თათებს აფართხუნებდა და წყალს აშხეფებდა. ბიჭი სწრაფად უახლოვდებოდა და, როცა მკლავის გაწვდენაზე მიცურდა, მარცხენა ხელი ქეჩოში ჩაავლო. გასუსული ხალხი ახმაურდა, გაისმა გამამხნევებელი შეძახილები. ბიჭი ძალღიანად მორევის დინებას მიჰყვა, რომელიც ახლა მას ეხმარებოდა და ნაპირისაკენ მოჰყავდა. ბიჭს მაშინ უნდა ეგანა, როცა წყალი ნაპირის სიახლოვეს მდინარის შუაგულისკენ შებრუნებას დაიწყებდა. ერთმა ახალგაზრდამ მანქანის საბუქსირო თოკი გადაუგდო. თოკი ბიჭის წინ დაეცა.

— ხელი წაატანე! — ახმაურდა ხალხი.

ბიჭს თითქოს არც დაუნახავს და არც გაუგია, მშვიდად, ჯიუტად მოაპობდა წყალს და მარცხენათი ძალღს მოაცურებდა. ხალხი უფრო ახმაურდა.

— ნახე, რა ყოჩადი ვიღაცაა! — აღტაცებით გადაულაპარაკა ერთმა მეორეს.

— მართლაც რომ კარგი ბიჭია,

თორემ ძალღის გულისთვის კი არა, მილიონი რომ მომცე, იქ რა ჩამიყვანს ახლა.

ბიჭი კი სწრაფად უახლოვდებოდა ნაპირს და იმ წერტილს, საიდანაც წყალი უკუმთიქცეოდა. ხალხი გაინახა, დაიძაგრა, თითქოს ერთ სხეულად იქცა. ძნელი იყო მორევისთვის თავის დაღწევა, როცა კრიტიკულ წერტილამდე მეტრიდა დარჩა, ბიჭმა უცებ ჩაყვინთა.

— უუუ! — წამოიძახა ხალხმა და მაშინვე მიიკმინდა ხმა. დაფაციცებულნი, თვალებადქცეულნი ჩამტერებოდნენ წყალს, სადაც, მათი ვარაუდით, ბიჭი უნდა გამოჩენილიყო.

ბიჭმა და ძალღმა ზედ ბეტონის კედელთან ამოყვინთეს. წყალზე გადამდგარმა ორმა ახალგაზრდამ ბიჭი და ძალღი აიტაცა, ნაპირზე ციმციმი გადმოსვეს და თვითონაც გადმოსტნენ. ერთმა პიჯაკი გაიხადა. ბიჭს მოახურა და აკოცა. მეორემ მის ჩანთასა და ტანისამოსს დაავლო ხელი და უთხრა:

— ჩქარა, სახლში მიგიყვან! — და მანქანისკენ გაიქცა.

ბიჭმა ფეხსაცმელებში წაჰყო შიშველი ფეხები. ერთიანად კანკალებდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაირბინა, უცებ შეჩერდა და მოიხედა. ძალღი ადევნებოდა. გრძელ ქარვისურ პეწვიანი მედორი თვალებში შემოსცქეროდა — სიყვარულით, ალერსით, მადლით. ბიჭმა ძალღთან მიირბინა, ხელში აიყვანა და სიხარულით უთხრა:

— წავიდე, მედორ!

ბიჭმა იმ დღეს ორი გაკვეთილი გააცდინა...



რკინის ღობის სიმღერა

ჯანი როდარი

მხატვარი ჯ. ლოლუა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ბიჭი სკოლიდან შინ ყოველთვის ერთი და იმავე გზით ბრუნდებოდა. უფრო სწორად, მან ჯერ არც იცოდა სხვა გზა. მაგრამ ერთხელ როგორღაც სხვა ქუჩას გაჰყვა და მალე დაინახა დიდი ბაღი, რომელსაც ქუჩის გასწვრივ მაღალი რკინის ღობე ჩასდევდა.

— უჰ, რა კარგია! — წამოიძახა პატარამ და ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მოიქცეოდა ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი ბიჭი: ამოიღო ჩანთიდან სახაზავი და სირბილით გაუყვა ღობეს, თან სახაზავს მაგრად აჭერდა რკინის ღერაკებს. ქვის ბოძამდე რომ მივიდა, უკან დაბრუნდა. რკინის ღერაკები ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ნაირგვარი ტემბრის მაღალ ხმებს გამოსცემდნენ. ერთი მიმართულებით ხმები აღმავალ გამით — დაბლიდან ყველაზე მაღალ და წკრილა ნოტებამდე ეწყობოდნენ, ხოლო მეორე მიმართულებით დაბნეული გამა გამოდიოდა, წვრილი „დინ-დინი“-დან დაბალ „დონ!“-ამდე და კიდევ უფრო დაბალ „დონ-ონ!“-ამდე.

ბიჭისთვის ეს გართობა ახალი ხილი იყო, ამიტომ იგი დიდხანს დარბოდა ღობის გასწვრივ აქეთ-იქით და უკრავდა მუსიკალურ ღერაკებზე. შემდეგ ცოტა შეისვენა. ხოლო როცა ხელმეორედ შეუდგა „დაკვრას“, კი აღარ გაიქცა, არამედ დინჯი ნაბიჯით მიდიოდა და სათითაოდ, ზოგიერთის გამოტოვებით უკაქუნებდა სხვადასხვა ღერაკებს, ხოლო დაბრუნებისას კი იმათ, რომელთაც განსაკუთრებული ხმები გამოსცეს. ერთი სიტყვით, ახლა იგი რკინის ღობეზე უკრავდა, ისე, როგორც უკრავენ ქსილოფონზე ან პიანინოზე, როდესაც რაიმე მელოდიას აწყობენ.

— კარგია! — წამოიძახა ისევ ბიჭ-

მა: ამჯერად მას ნამდვილი მელოდია გამოუვიდა. — მოდი, ამას „რკინის ღობის სიმღერას“ დავარქმევ.

ქალაქის კოშკის საათმა დარეკა და ბიჭი მიხვდა, რომ შინ უკვე დიდი ხანია ელოდებოდნენ.

— ხვალ ისევ მოვალ, — გადაწყვიტა და საბოლოოდ ერთხელ კიდევ ჩაურბინა ღერაკებს სახაზავით.

მართლაც, იმ დღის შემდეგ იგი ამ ახალი გზით ბრუნდებოდა სახლში და ყოველთვის უკრავდა ხოლმე ღობის ღერაკებზე, თან სულ ახალ-ახალ სიმღერებს აწყობდა. მან ააწყო სიმღერა ბაღის ყველა ხისათვის: ფიჭვისათვის, ნაძვისათვის, ლიბანის კედარისათვის, ზეცაში ატყორცნილი ტანწერწერა კვიპაროსისათვის. ააწყო სიმღერა ბაღის სიღრმეში მდგარი სახლისკენ მიმავალი ხეივნის, სხვადასხვა მიმართულებით გაბნეული ბილიკების, ბუჩქებისა და ფერად-ფერადი ყვავილნარებისათვის. მაგრამ მას არავისთვის, არც მასწავლებლებს, არც ამხანაგებისათვის არ გაუმხელია თავისი აღმოჩენა. მუსიკალური ღობე მისი საიდუმლოება იყო.

ერთხელ, როცა იგი ღობის ღერაკებზე ახალ მელოდიას აწყობდა, სახლიდან გაჯავრებული ხმა მოესმა:

— ბიჭო, შენ ბოლოს და ბოლოს გაჩერდები თუ არა? უკვე ერთი საათია, ყურები წაიღე ამ სულელური რაკუნით!

ბიჭმა აიხედა და დაინახა, რომ სახლის ფანჯრები დაეღოთ. გაახსენდა, რომ ისინი ყოველთვის დაკეტილი იყო. ალბათ სახლის პატრონები წასულელები იყვნენ და ახლა დაბრუნებულან. აივანზე საშინაო ხალათიკმული მოხუცი ბატონი იდგა, ხელში წიგნი და სათვალე ეჭირა.

— ვერ ხვდები, რომ ამ რაკუნით კითხვას მიშლი?! — გაბრაზებულმა დაიყვირა მან. — ახლავე გასწი აქედან და გამეორება აღარ გაბედო.

შეშინებულ ბიჭს თავის დაცვაც არ უცდია, უფრო სწორად, იმის თქმაც კი ვერ მოახერხა, კი არ ვხმაურობ, ამ განსაცვიფრებელ ღერაკებზე სიმღერას ვაწყობო; მან სახაზავი ჩანთაში ჩააგდო და გაიქცა, მოხუცმა ბატონმა კი უკან მიაძახა:

— მეორედ შენი ფეხი აქ აღარ

გნახო, გაიგე?!

იმის შემდეგ ბიჭი ფრთხილად უვლიდა ხოლმე რკინის ღობეს, უფრო ხშირად მოპირდაპირე ტროტუარზე, და ბაღისკენ იყურებოდა. ხან სახლის ფანჯრები იყო ღია, ხან მოხუცი ბატონი სეირნობდა ბაღში, ხან კიდევ ზედ ღობესთან ძალი იყო ხოლმე დაყუნცული. ბიჭი ოხრავდა და ნელი ნაბიჯით ბრუნდებოდა შინ. გუნებაში იმ საზიზღარ ბატონს ბევრი მწარე რამ უთხრა: „მე, საერთოდ, გაცეცხული ვარ, — ეუბნებოდა, — რომ იმისთანა განათლებულ ადამიანს, როგორც თქვენ ხართ, რომელიც ასეთ დიდტანიან წიგნებს კითხულობს, არ გიყვართ მუსიკა. თქვენ თვითონ რატომ არ უნდა უკრავდეთ ღობეზე? რატომ ხართ ასეთი მიუხვედრელი? რატომ არ გიყვართ ბავშვები?“

ერთხელ ბიჭის დედამ გაიცნო ქალბატონი, რომელიც როიალზე უკრავდა. როცა ბიჭი დედასთან ერთად ეწვია იმ ქალბატონს, არა მარტო პირველად ნახა ახლოს ეს არაჩვეულებრივი ინსტრუმენტი, არამედ კლავიშებზე თითების შეხების უფლებაც კი მიიღო. ბიჭი ხან აქ, ხან იქ აჭერდა თითს, — ალაღბებდად, სადაც მოხვდებოდა, თან ცდილობდა ხმების ერთმანეთთან დაკავშირებას. გულა ამოვარდნაზე ჰქონდა.

— მე მგონი, თქვენს ბიჭს მუსიკალური სმენა აქვს, — თქვა ქალბატონმა, — მოდი, იაროს ჩემთან, ცოტას წავიმეცადინებთ, ვნახოთ, რა გამოვა.

მაგრამ ქალბატონი მეორე დღეს პარიზში გაემგზავრა. დაბრუნდა თუ არა იგი პარიზიდან, ბიჭს ამის შესახებ არაფერი გაუგია, რადგან მალე ბევრი ახალი ამბავი მოხდა: დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ბიჭის მამა ფრონტზე წავიდა და ისეთი დრო დადგა, როცა მუსიკისათვის არავის ეცალა.

ბიჭი გაიზარდა, სკოლა დაამთავრა და ღობეც დაავიწყდა. ერთხელ შემთხვევით იმ ადგილას მოხვდა და დაინახა, რომ ღობე მოეხსნათ, — რკინა ზარბაზნებისათვის უნდა გადაედნოთ. ქალაქის კოშკიდანაც ჩამოხსნეს ზარები.

გავიდა წლები, ბიჭი დავაუკაცლა და ბანკში დაიწყო სამსახური. თავისი სამუშაო მოსწონდა. საერთოდ, ყველა სამუშაო მოსაწონია, როცა პურის ფული გაქვს საშოვნელი. ხანდახან ბიჭი თავის თავს ეკითხებოდა. იქნებ სხვა პირობებში კარგი მუსიკოსი გამოვსულიყავიო... მაგრამ იგი იშვიათად სვამდა ასეთ კითხვას, ვისაც პურის ფულზე ზრუნვა უხდებდა, იმას დრო აღარ რჩება წარსულის ოცნებათა გახსენებისათვის.

ბანკის მოსამსახურე კაცი უკვე სხვა ქალაქში ცხოვრობდა, მაგრამ ერთხელ საქმეების გამო მშობლიურ ქალაქში ჩამოვიდა. მონუსხულივით დაეხეტებოდა ქუჩებში და ეჩვენებოდა, რომ ისევ ის პატარა ბიჭი იყო. ერთხელ ძველ ბაღთან აღმოჩნდა. ღობე აღედგინათ. აგერ, ნაცნობი ღერაკებიც... თუმცა არა, ესენი ალბათ სხვებია. მაგრამ სულერთია...

უცებ კუთხიდან ჩანთის ქნევით გამოიჭრა პატარა ბიჭი. იგი გაჩერდა და ბაღის სიღრმეში აღმართულ სახლს შეხედა. ყველა ფანჯარა დაკეტილი იყო. „ახლა ჩანთიდან სახაზავს ამოიღებს!“ — გაიფიქრა კაცმა.

მართლაც, ბიჭმა ჩანთიდან ლითონის სახაზავი ამოაძვრინა და ღობის ღერაკებზე ააკაკუნა, თანაც ყურს უგდებდა მხოლოდ მისთვის გასაგებ რიტმს.

„დინ-დინ! დინ-დინ!“ — პასუხობდნენ ღერაკები.

„უცნაურია, — გაიფიქრა კაცმა, — როგორი ერთფეროვანი ხმებია. თუმცა, ასეც უნდა იყოს, ღერაკები ხომ ერთი სიგრძისა და სისქისანი არიან და რატომ უნდა გამოსცენ მათ სხვადასხვა ხმა?“

მაგრამ ბიჭი ისევ და ისევ უკაკუნებდა ღერაკებს და თან გულდასმით უგდებდა ყურს.

— გამარჯობა, — უთხრა კაცმა ბიჭს.

ბიჭი შეკრთა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

— ნუ გეშინია, — უთხრა კაცმა, — ფანჯარები დაკეტილია. მოხუცი ბატონი სახლში არ არის.

— რომელი მოხუცი ბატონი? — გაიკვირვა ბიჭმა.

— ის, რომელიც ღობეზე დაკაკუნებდა...



ნების დროს ბრაზობს ხოლმე.

— ამ სახლში მოხუცი ბატონი არ ცხოვრობს, ძია, — უპასუხა ბიჭმა, — აქ ყრუ მოხუცი ქალბატონი ცხოვრობს. ის არ მიჯავრდება, რადგან არაფერი ესმის, მისი მოახლე ბრაზობს ხოლმე...“

„რა თქმა უნდა, — გაიფიქრა კ-

ცმა, — ის მოხუცი ბატონი დიდი ხანია მოკვდა. და აქ ახლა სხვა ხალხი ცხოვრობს.“

— მოახლე ქალი ამბობს, — განაგრძობდა ბიჭი, — რომ მე ცული აღზრდილი ვარ და მყურდროებას ვურღვევ. მაგრამ ეს არ არის მართალი. მე არ ვხმაურობ, მე ვუკრავ.

გნებათ, მოისმინოთ?

— მოდი, მოვისმინოთ, — დაეთანხმა კაცი.

— ყური დაუგდეთ, — თქვა ბიჭმა. — ეს „მომაკვდავი წაბლის სიმღერაა“. იგი დაავადებულია, ისე როგორც თითქმის ყველა წაბლის ხე ევროპაში. ეს ჩვენ სკოლაში აგვიხსენს.

— მოვისმინოთ, — გაიმეორა კაცმა.

და ბიჭი მოჰყვა სახაზავის კაკუნს ლერაკებზე. სახე დაეძაბა, ეტყობოდა, იტანჯებოდა, იწვოდა. იგი ურტყამდა ლობის ხან ერთ, ხან მეორე ბოლოს, ერთი ან რამდენიმე ლერაკის გამოტოვებით, რათა საჭირო შუალედი გამოსვლოდა.

მაგრამ კაცს ესმოდა მხოლოდ ერთი და იგივე ყრუ ნოტი: „დინ, დინ, დინ...“

— გესმით? — შეეკითხა ბიჭი. — წაბლი ავად არის, მაგრამ იგი ამას არ ნაღვლობს, იმიტომ, რომ მის ტოტებზე ჩიტები ჯერ კიდევ იკეთებენ ბუდეებს. მიხვდით?

კაცს ისევ ის მონოტონური ყრუ ხმა ესმოდა: „დინ, დინ, დინ...“

— ამათომ, — აგრძელებდა ბიჭი, — სიმღერა არ უნდა მთავრდებოდეს სამგლოვიარო მუსიკის მსგავსი, დაბალი, სევდიანი ნოტით, აქ უნდა ეღერდეს მაღალი და სუფთა ნოტი.

„დინ, დინ...“ — ესმოდა კაცს.

ახლა კი მიხვდა კაცი, რატომ უყვიროდა მას მოხუცი ბატონი ისე გაჯავრებული: მოზრდილებს არ შესწევთ უნარი, გაიგონ ბავშვის მიერ ლობის ლერაკებზე სახაზავის რაკუნით და მდიდარი წარმოდგენით შექმნილი მუსიკა.

— მოგეწონათ? — შეეკითხა ბიჭი.

— ძალიან! — უპასუხა კაცმა. არ უნდოდა, ბიჭი გაენაწყენებინა.

კოშკის საათმა ხუთჯერ დაჰკრა.

— ჩემი წასვლის დროა, — თქვა ბიჭმა. — ნახვამდის.

— მშვიდობით, — უპასუხა კაცმა. ერთხანს იდგა და დადუმებული შესცქეროდა ჩამავალი მზის სხივებით განათებულ წაბლის ხის ფოთლებს.



რევაზ მარგიანი

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე რევაზ მარგიანი.

რევაზ მარგიანის ჭეშმარიტი, ხალასი ნიჭით მირონცხებული შემოქმედის სახელი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გაბრწყინდა ისეთ ახალგაზრდა პოეტთა თანავარსკვლავედში, როგორც იყვნენ ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, აღექსანდრე საჭაია, სევერიან ისიანი...

რევაზ მარგიანის არაერთმა ბაღადამ და ლირიკულმა ლექსმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართული პოეზიის საგანძურში.

ჯერ კიდევ ჭაბუკმა პოეტმა დიდ სამამულო ომში პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და ის ქარ-ციცხლიანი დღეები გულში ჩამწვდომად ასახა თავის შემოქმედებაში.

როგორც შემოქმედსა და როგორც მოღვაწეს, რევაზ მარგიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საყმაწვილო ლიტერატურის წინაშე. თავისი ღრმაზრიანი, გულწრფელი, მელოდიური ლექსებით მოზარდი მკითხველის სულსა და გულში ნერგავდა მშობლიური მიწაწყლის, დედაენის, სწავლის, შრომის, კაცთმოყვარეობის ძვირფას თვისებებს. ამიტომაც უყვართ იგი ნორჩებს, სწავლობენ, მღერიან მის ცინცხალ სტრიქონებს.

რვა წელიწადი რედაქტორობდა რევაზ მარგიანი ჟურნალ „დილას“; 1953-1963 წლებში სათავეში ედგა ჩვენი ჟურნალის შემოქმედებით კოლექტივს, ამ ხნის მანძილზე თავის ცოდნას, ენერგიას, გულის სითბოს უანგაროდ ახმარდა „პიონერის“ ყოველმხრივ სრულყოფის ეროვნულ საქმეს.

წავიდა ჩვენგან მშობელი ქვეყნისა და ხალხის ალალი მოჭირნახულე, ქართველი ბავშვების გულითადი მეგობარი, მაგრამ მისი პოეტური მემკვიდრეობა და სახელი მარად იცოცხლებს.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია.

ვაკავებთ ღიკუსიას

„იცნობდეთ, ჩემი მეგობარია!“

ჩვენი ჟურნალის შარშანდელ ივლისის ნომერში რედაქციამ მკითხველთა სამსჯავროზე გამოიტანა ორი ამონაწერი პიონერთა ბარათებიდან. ბავშვები ასახელებდნენ კონკრეტულ ფაქტებს და გვთხოვდნენ გვეპასუხინა, სწორი იყო თუ არა მათი თანაკლასელების საქციელი მეგობრობის თვალსაზრისით. შეიძლებოდა პასუხი ამ კითხვაზე უშუალოდ ადრესატისათვის მიგვეცა, მაგრამ ვამჯობინეთ ვაგვეშალა ფართო დისკუსია მეგობრობის რაობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ ესა თუ ის პიროვნება (არა მარტო მოზარდი, არამედ, სამწუხაროდ, ბევრი უფროსთაგანიც), თუ ჰკითხავ, სიტყვით კი სწორად აეჩინოს, რა არის მეგობრული გრძობა, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეგობარი, მაგრამ სიტყვა საქმეზე რომ მიდგება, ამ მწყობრ განსაზღვრას ივიწყებს და სულ სხვანაირად წარმოგვიდგება ხოლმე — ეგოისტად, სულმოკლედ, ლაჩრად, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილ ადამიანად... ჰოდა, ჩვენც ავდგებით და თქვენ მოგმართეთ, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, მოგიწოდეთ ერთად გვემსჯელა მეგობრობის თემაზე, გავგვრკვია მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათისა და მნიშვნელობის პრობლემები.

დისკუსიას „იცნობდეთ, ჩემი მეგობარია!“ ბევრი თქვენი თანატოლი გამოეხმაურა. რედაქციაში თითქმის ყოველდღიურად მოდიოდა წერილები, მათმა რიცხვმა უკვე ხუთ ასეულს მიაღწია. ბავშვები გულლიად გვიმჯღავებდნენ თავიანთ შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ რით გამოიხატება მეგობრობა, სად გადის საზღვარი მეგობრობასა და ამხანაგობას შორის, შეიძლება თუ არა იმეგობრონ გოგონა და ბიჭმა, უფროსმა და უმცროსმა... ეს იყო არა ზერელე, არამედ

ქეშმარიტად გულითადი საუბარი და საქმიანი მსჯელობა. აი, ორიოდ ამონაწერი დისკუსიის მონაწილეთა ბარათებიდან: „არიან ადამიანები, რომლებიც მეგობარს ირჩევენ მატერიალური შეძლების, ფიზიკური თვისებების ან მშობლების საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო. ასეთ კავშირს საერთო არაფერი აქვს მეგობრობასთან“ (დათო მ-ძე, წყალტუბო); „ვაუთან მეგობრობა უფრო სასურველიც კია, ვაქები უფრო ღრმა და მტკიცე რწმენისანი არიან. ისინი იშვიათად თუ აშავებენ რამეს მეგობრულ ურთიერთობაში“ (მანონი სიხარულიძე, ჩოხატაური); „მოდით, მეგობრისათვის ცოდნას ნუ დავიშურებთ, ყოველთვის მხარში ვედგეთ ერთმანეთს“ (ნინო მელაძე, თბილისი)...

დაახლოებით ამავე აზრისანი არიან სხვებიც.

აქვე გვინდა მოგაგონოთ ჩვენი ჟურნალის 1983 წლის მე-9 ნომერში დაბეჭდილი თამრიკო ბრეგვაძის წერილი „სწორად მოიქცა?..“ ავტორი გვეკითხებოდა, სწორია თუ არაო თეას საქციელი, რომელიც წარჩინებული მოსწავლეა, მაგრამ პრინციპულად არ ეხმარება. ხოლმე თანაკლასელებს. მეგობრისათვის, ამხანაგისთვის დახმარების გაწევა სასიამოვნო მოვალეობაა და, რა თქმა უნდა, მართალი არიან ჩვენი მკითხველები, რომლებმაც ერთსულოვნად დაგმეს თეას საქციელი.

სასიხარულოა, რომ დისკუსიის მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას, მათ შორის იმათაც, ვინც თამრიკო ბრეგვაძის წერილს გამოეხმაურა, სწორად ესმის ნამდვილი მეგობრობის რაობა, მისი ფასი და მნიშვნელობა (ვიმედოვნებთ, რომ მათი ნათქვამი ლიტონი სიტყვები არაა და ისინი ცხოვრებაშიც ისეთები იქნებიან, როგორებადაც მათი იდეალები წარმოუდგენიათ). ხოლო თუ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამართული კამათი დაეხმარა ზოგ თქვენს თანატოლს მეგობრობასთან. დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის ცხადად გარკვევაში, კმაყოფილებით უნდა




სურს კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

ვთქვათ, რომ დისკუსიას შეუხსრულებია თავისი დანიშნულება.

ჩემს გვერდით უფროსი მეგობარია

IV კლასში ვიყავი, როდესაც რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს ძალიან გამიხარდა და მესიამოვნა ამხანაგების ესოდენ დიდი ნდობა. გადავწყვიტე, არ შევრცხვნილიყავი. პირველად ბევრი დაბრკოლება შემეხვდა, ცოტა შევშინდი კიდეც, თავში ერთი და იგივე აზრი მიტრიალებდა: რომ შევრცხვე, მაშინ რა პირითლა შევხედო ამხანაგებს. გადავწყვიტე, რომ აუცილებლად ყველაფერი უნდა დამეძლია. დახმარებისთვის ჩვენი სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარესთან მივედი. ნანა ჩეკურიშვილმა მომცა მითითება და მეც პირნათლად შევასრულე პირველივე პიონერული დავალება.

ნანა არა მარტო ჩემი, არამედ ყველა ჩემი თანასკოლელის მეგობარია და სწორედ ისეთი მეგობარი, რომელიც გაჭირვების ქამს შენს ტკივილს შენთან ერთად განიცდის და ლხინშიც შენთან ერთად მოილხენს. შაშიანი ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. კახეთის შუაგულში, მწვანეში ჩაფლული სოფლის სიამაყეს ზვრები და ყანები წარმოადგენს. წლის ყველა დროს დიდი თუ პატარა შრომის ფერხულშია ჩაბმული. ჩვენც ზაფხულის არდადეგებზე სახლში რა გავგაჩერებს, უფროსებს მხარში ვუდგავართ, მათთან ერთად ვიბრძვი: ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის გამტკიცებისათვის. გასულ წელსაც არ ვუღალატეთ ტრადიციას, ჩვენს სკოლაშიც ჩამოყალიბდა შრომა-დასვენების ბანაკი, რომელშიც უფროსკლასელები იყვნენ გაერთიანებულნი.



შაშინაში ყველა ბავშვმა იცის ვაზის ყადრი, ამიტომ აღარ დაგვიყოვნებია და ზვრებს მივაშურეთ, მევენახეებს მხარში ამოვუდექით და მათთან ერთად ვიბრძოდით ვაზის გადასარჩენად. ნანა ჩეკურიშვილი, როგორც ყოველთვის მხარში გვედგა და როგორც კი შეამჩნევდა რომელიმე ჩვენგანის დალლას, მაშინვე მოიბრუნდა, გაგვამხნევებდა და ჩვენც ახალი ენერჯით ვიწყებდით მუშაობას.

ნანა ჩეკურიშვილი ახლა თბილისის ილია ვეკუას სახელობის სკოლის IX კლასის მოსწავლეა, მაგრამ ჩვენ არც ერთი წუთით არ გვივიწყებს, კვლავ ჩვენი მეგობარია.

მე პიონერი აღარა ვარ, წელს კომკავშირის რიგებში შევედი. ვიცი, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია, მაგრამ მე არ მეშინია, წინ ხომ ნანა ჩეკურიშვილის შესანიშნავი მაგალითი მაქვს.

ლალი ხობანაშვილი.

გურჯაანის რაიონი, სოფელ შაშინის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

მეგობრობა

ხილია

მშვენიერებისაკენ

ზუგდიდის რაიონის პიონერთა სახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი სულ ახალგაზრდაა. იგი თავისი არსებობის მხოლოდ ორ წელს ითვლის. ამ ორი წლის განმავლობაში ზუგდიდელმა პიონერებმა მრავალი მეგობარი შეიძინეს ჩვენს დიად სამშობლოში.

ინტერნაციონალურ კლუბს „გლობუსი“ ჰქვია. მას თავისი დევიზიც აქვს — „მეგობრობა ხილია მშვენიერებისაკენ“. „გლობუსი“ ესპანეთის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის, დოლორეს იბარურის შვილის რუბენ იბარურის სახელს ატარებს. კლუბის ყველა წევრი საფუძვლიანად იცნობს რუბენ იბარურის ბიოგრაფიას.

კლუბის საქმიანობას უნარიანად უძღვევა პედაგოგი ნონა ჩაგუნავა. „გლობუსს“ საპატიო წევრებად არ-

ჩეული ჰყავს რაიონის სახელოვანი ადამიანები: მოწინავე მშრომელები, ვეტერანი კომკავშირელები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი.

საინტერესო მუშაობას ეწევიან ნაირფერყელსახვევთა მეგობრობის მიმოწერის და მთარგმნელთა სექციები.

ნაირფერყელსახვევთა მეგობრობის სექციაში პიონერები ეცნობიან საზღვარგარეთელი თანატოლების ცხოვრებას, სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნების ბავშვთა ორგანიზაციების ისტორიას. მონდომებით მუშაობენ სექციის წევრები: ინგა კუტალია, ანგელინა სხულუხია, იამზე მიქავა და სხვები. მათ მოაწყეს მეგობრობის კუთხე, რომელსაც ამშვენებს ლამაზად გაფორმებული სტენდი და საზღვარგარეთელი პიონერების ცხოვრების ამსახველი ფოტოები.

ასევე მიმზიდველი და შინაარსიანი მუშაობაა გაშლილი მიმოწერის სექციაში. პიონერები — სვეტლანა ყურაშვილი, ნანა ქვანია, დარეჯან ძიმციეშვილი გულთბილ ბარათებს ღებულბენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. კლუბის მისამართით გაუწყვეტილად მოდის წერილები კიშინიოვიდან, პენზიდან, ლვოვიდან, ქდანოვიდან, ტალინიდან... ინტერკლუბელებს სწერენ რუსი, უკრაინელი, მოლდაველი, ბელორუსი, სომეხი, ესტონელი პიონერები. ზუგდიდელი პიონერები მოძმე რესპუბლიკების ბავშვებს აცნობენ თავიანთ სამუშაო გეგმას, მშობლიური მხარის ისტორიულ ადგილებს, უყვებიან საბჭოთა საქართველოზე.

ბევრის, ძალიან ბევრის გაკეთება შესძლეს პიონერებმა. ბევრი რამ შეისწავლეს. ახლახან დიდი ზემოთ აღნიშნეს „ნორჩი გმირი ანტიფაშისტის დღე“, ჩაატარეს დისპუტი „იცნობ თუ არა მშობლიურ მხარეს?“ მონაწილეობენ საერთაშორისო კამპანიაში „ბავშვებს მშვიდობა სურო“, აწყობენ მეგობრობის ფესტივალებს, კვირეულებს.

„გლობუსი“ აგრძელებს საინტერესო მუშაობას. პიონერებს ახალი გეგმები აქვთ დასახული: შეხვედრები

ვეტერანებთან, ზუთფლედის გზაზე მან, პოლიტიკური სიმღერების კონკურსის, თეორიული კონფერენციების ჩატარება.

გარინე ჯონჯუა,
ზუგდიდის № 77 ტექნიკური
სასწავლებლის მოსწავლე.

კლუბი
„მეგობრობა“
მოძველებს

ჩვენს სკოლაში მუშაობს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი „მეგობრობა“, რომლის დევიზია: „მეგობრობა გზად და ხიდად“.

კლუბის წევრებს მიმოწერა გვაქვს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების სკოლებთან. ახლახან კი გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მეშვეობით მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ კრასნოურალსკის № 6 საშუალო სკოლასთან. აღნიშნულ სკოლაში მუშაობს ინტერკლუბი „პარალელი“. 1984 წლის თებერვალში ამ კლუბის წევრებმა აღნიშნეს „პარალელის“ დაარსების 9 წელი. სკოლაში არის აგრეთვე მუზეუმი „ხსოვნა“. ჩვენ ხშირად მოგვდის წერილები შორეული მეგობრებისაგან, ჩვენც ვუგზავნით პასუხებს, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას.

კრასნოიარსკელმა პიონერებმა გამოგვიწვიეს გადაძახილში: „მოსკოვიდან ქვეყნის კიდემდე“. ჩვენ დავამზადეთ ალბომი და გაუუგზავნეთ მათ. ამ რამდენიმე დღის წინ სასიხარულო ცნობა მივიღეთ. ჩვენმა ალბომმა მოწონება დაიმსახურა, მეგობრებმა საპატიო დიპლომით დავაჯილდოვეს. ახლა კი გვთხოვენ შევაგროვოთ მასალები ჩვენს თანასოფლელებზე, რომლებიც სამამულო ომის დროს იბრძოდნენ 54-ე არმიის შვილებით თავი არ შევირცხვინოთ, პირნათლად შევასრულოთ მეგობრების თხოვნა, ისინი ხომ მოუთმენლად ელიან ჩვენს გამოხმაურებას.

ელვა ჩიხორია,
სოფ. ტყაჩიის საშუალო სკოლის
ინტერკლუბის თავმჯდომარე.

ჩვენ ფარვა

„მეფრინველეობას პიონერული ზრუნვა“ — ამ დევიზით ვსრობობთ ვ. ი. ლენინის სახელობის ვაზისუბნის საშუალო სკოლის VII ბ კლასის მოსწავლეები. როდესაც გამოცხადდა რაიონული ოპერაცია „თითოეული პიონერი გამოზრდის 2-2 ფრთა ქათამს“, შეფობა ავიღეთ ჩვენი სოფლის მეფრინველეობის ფერმაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინის ორდენოსანი ლენა ჯავახიშვილი.

იმ დღის შემდეგ ფერმის ხშირი სტუმრები გავხდით. რაზმის ოცდაექვსმა პიონერმა 100 ფრთა წიწილის გამოზრდა ვივალდებულეთ.

ოქტომბერში ლენა დეიღამ შემოგვიტვალა, თქვენი დახმარება გვჭირდებაო. ფერმისაკენ გავეშურეთ და იმ დღეს მთელი ტერიტორია ქვა-ლორღისაგან გავასუფთავეთ.

ფერმას ამშვენებს ჩვენს მიერ გახარებული 300 ძირი მწვანე ნარგავი. ნოემბერში მათ ძირები შემოვუბარეთ.

არც იანვრის არდადეგებზე დაგვიწყებია ჩვენი ფერმა. მოვაწყეთ შაბათობა და ფერმის თანამშრომლებთან ერთად დავასუფთავეთ საქათმეები.

სარემარტოდ კვლავ მოვაწყეთ შაბათობა და გავმართეთ კონცერტი.

ნონა მახინოვი,

VII-ბ კლასის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.



მუსიკის

საუბრო

ოთახის კუთხეში თვლემს როიალი; როგორც კი შევასწებ თითებს, ზღაპრული სამყარო იშლება ჩემს თვალწინ, ველარ ვიცილებ უსაზღვრო ფიქრებს


უცებ ლანდები იწყებენ ციალს, შემოიჭრება ოთახში ქარი, სულგანაბული ყურს ვუგდებ შრიალს, როგორ ჩურჩულებს და ამღერდება ქარი კი არა, მოცარტის ქნარი.

ცა მოიღრუბლა, გავარდა მეხი, გაისმა გრგვინვა, ზეცაში ეტლით გამოჩნდა ღმერთი, მეფე მუსიკის ის ერთადერთი. მთვარის სხივებით გააბა ჩანგი და ააჟღერა მუსიკის ჰანგი. როგორ ვადმოვცე, უძღურია სიტყვა ყოველი დგას ცის ტატნოზე მეფე მუსიკის — ბეთჰოვენი...


ია

ჭალის პირას, ბუჩქის ძირას, ნაზი ია ნაბავს თვალებს, სიო ფოთლებს უნანავებს, ნაზად არხევს, აქანავებს.

წვიმამ ცვარი დააპკურა, მწვანე გვიმრა,



ბ ა ლ ე რ ი ნ ა
სოფიკო ალაშია, 11 წლის.



ნორა კორასკოლვაგთა ჟარნალი № 7

ფოთლები რომ გაუთხუნა, არ დასწვასო მზის სხივებმა, საჩრდილობლად დაეწურა.

გაიბადრა, გაიკვირტა, აყვავილდა, აკულულდა, მზეს შესცინა, ჩიტებს მორცხვად გაულიმა... ირგვლივ სიტურფე მოჰფინა. დილის ნამი, მარგალიტი, ყელზე მიძივად დაეკიდა.

ჭალის პირას, ბუჩქის ძირას, ნაზი ია აჭყეტს თვალებს, სიო ფოთლებს ურწევს ფრთხილად, ლურჯთვალება ილიმება, ყელს ასხია ნამი მიძივად.

შემოდგომა

წვიმს, წვიმს, წვიმს, ცივი ქარი ქრის, წვიმის წვეთებს ცივს ღრუბლის ფთილა ცრის.

გვანცა აბაღლაძე,
თბილისის 77-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

დედაო საქართველო, შენ ბევრი იტანჯე, მრავალი დუშმანი გეხვია გარშემო... ახლა კი იმრავლე, იზარდე, იხარე! რომ ისევ თესო და რომ ისევ აშენო!

ნიკოლოზ ცაგურიშვილი,
თბილისის 129-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.



წინ გაიხარო, ახალი წელი!

მ ა მ ი მ ი ს რ ა მ ე ა

ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩვენი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, ქვეყნის მომავალი სომ ბევრად და მოკიდებული პარმონიულად განვითარებულ, ფიზიკურად ძლიერ, მორალურად სპეტაკ მომავალ თაობაზე.

მაგრამ ადამიანთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, თუ რა მავნებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის ალკოჰოლიზმს. ლოთები, რომლებიც თვითონ გამოუსადეგარნი არიან აქტიური შრომისა და ოჯახისათვის, უარყოფით მაგალითს აძლევენ მოზარდებს. მცირეწლოვანი ბავშვები სწორედ მათგან ერგვიან სმას, მერე და მერე სულ უფრო და უფრო თამამად იღებენ ხელში ჭიქას და დროზე თუ არ ვუშველეთ და არ დავეხმარეთ, საზოგადოებას კიდევ ერთი აქტიური წევრი გამოაკლდება...

ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი ამ თემაზე ესაუბრა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ნარკოლოგ აკაკი გამყრელიძეს.

— პატივცემულო აკაკი, ზოგადად ყველამ, დიდმაც და პატარამაც იცის, რომ ალკოჰოლი საზიანოა. მაგრამ კონკრეტულად რა მავნებლობა მოაქვს მას ადამიანისათვის და უფრო რომელ ორგანოებს აზიანებს?

— ალკოჰოლიანი სასმელები (არაყი, ღვინო, კონიაკი, ლუდი) ეთილის სპირტს შეიცავს, რომელიც უპირველესად ადამიანის ნერვულ სისტემას, შემდეგ კი სხვა ორგანოებს — კუჭს, ღვიძლს, თირკმლებს, გულს აზიანებს. მისი უმნიშვნელო დოზაც კი მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. ერთი-ორი ჭიქის შემდეგ მსმელს ამაღლებული გრძნობა ეუფლება, ხალისსა და სიჯანსაღეს გრძნობს, ბევრს ლაპარაკობს... შემდეგ კი გუნება უფუჭდება, ბრაზობს, ძველი წყენა ახსენდება, საჩხუბრად ერჩის გული. სწორედ ასეთ მდგომარეობაშია იგი განსაკუთრებით საშიში საზოგადოებისათვის, რადგან მას

სულიგნობის და მკვლელობის ჩადენაც კი შეუძლია.

— ადამიანთა დიდი ნაწილი, ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად, სვამს. მაგრამ ყველა არ ლოთდება. მაშ, რა არის ადამიანის ვალთების მიზეზი?

— მხოლოდ და მხოლოდ მისი სუსტი პიროვნული თვისებები, უნებისყოფობა. ცხოვრებაში ბევრი მიზეზია იმისა, რომ ადამიანმა დალიოს: დაბადების დღე, ძეობა, ქორწილი, იუბილე, — ყველგან სუფრა იშლება და ალკოჰოლური სასმელიც უხვადაა. თუ პიროვნება ძლიერი ხასიათისაა, ის ყოველი სადღეგრძელოს წარმოთქმისას ცოტ-ცოტას მოსვამს, აუცილებლად ფსკერს კი არ გამოუჩენს ჭიქას, თუ ასე არ მოიქცა, შეიძლება სმა ჩვევად გადაექცეს და ბოლოს თავი ვეღარ შეიკავოს, მთლიანად მიწებდეს ალკოჰოლს...

ლოთი სასმელს დიდი რაოდენობით ღებულობს, მოქმედების კონტროლს კარგავს, მაგრამ მაინც შესწევს იმის უნარი, დროდადრო უარი თქვას დალევაზე. მას ჯერ კიდევ აქვს საამისო ძალა. ალკოჰოლისტი კი მუდმივად სვამს, უკეთესადაც იტანს სასმელს, მაგრამ ნაბახუსევს ფსიქიკური და ფიზიკური ანომალიები ეწყება, მოუსვენრობა და უძილობა ეუფლება, ამას სისუსტე, თავის ტკივილი და კანკალი ემატება. ყველაფერი ეს ქრება ალკოჰოლის

ახალი დოზის მიღებისას. ასე გრძელდება დაუსრულებლივ. ასეთი ადამიანი უკვე უვარგისია, როგორც ოჯახის, ისე საზოგადოებისათვის.

— სწორედ ოჯახს აკისრია დიდი როლი მოზარდის სწორ ჩამოყალიბებაში, სწორედ მშობლებისაგან ღებულობს ის მაგალითს. მსმელი მამისაგან კი, მართლაც რა უნდა ისწავლოს ბავშვმა!

— ჭეშმარიტად! ბავშვი, როგორც პიროვნება და საზოგადოების აქტიური წევრი უპირველესად ოჯახში ყალიბდება. ოჯახში, სადაც შრომა უყვართ, სადაც ურთიერთპატივისცემის, მეგობრობისა და სიყვარულის ატმოსფეროა — ბავშვი მშვიდი და ზრდილი, წესიერი და შრომისმოყვარე იზრდება, და პირიქით, ლოთი მამის ხშირი ჩხუბი და აყალმაყალი ბავშვებზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, მათ ეწყებათ ნევროზი და ნერვული შიში.

— ხანდახან მშობლები პატარებს ჭიქა ღვინოს სთავაზობენ და ამტკიცებენ, რომ მცირე რაოდენობით მიღებული სასმელი ორგანიზმს არ ვნებს. მართალია ეს?

— რას ბრძანებთ, ასეთი საქციელი ნამდვილად დანაშაულის ტოლფასია! სასმელისგან პირველ დარტყმას ნერვული სისტემა და ტვინი ღებულობს. სწრაფი აღვზნებადობის და უჯრედების განუვითარებლობის შედეგად ალკოჰოლის მცირე დოზის მიღებასაც კი მოზარდისათვის სხვადასხვა დაავადებები და მძიმე მოწამვლა მოჰყვება ხოლმე. ამავე დროს, სასმელი აღიზიანებს ყელს, მოქმედებს ფილტვებზე, ბრონქებზე, ღვიძლზე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, ავითარებს ვასტრიტს, წყლულს და ავთვისებიან სიმსივნესაც კი. მწვავე ალკოჰოლური მოწამვლა მოზარდებში ალკოჰოლის მცირე დოზის მიღების დროსაც კი ვითარდება და განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს, იმდენად, რომ, სამწუხაროდ, ზოგჯერ უძლურნიც კი ვხდებით ხოლმე ვუშველოთ ავადმყოფს. ასე რომ, პატარებისთვის სა-

სმელის შეთავაზება შეუწყნარებელი ბოროტებაა.

— ამ ბოლო ხანებში ძალზე გავრცელდა მოზარდებისათვის დაბადების დღის გადახდა. ხშირად მშობლები უხვ პურ-მარილთან ერთად ბავშვებს სუფრაზე სპირტიან სასმელეებსაც უდგამენ.

— მართალია. ასეთი მშობლები პირდაპირ უბიძგებენ ყმაწვილებს სმისაკენ. ბიჭებს ვაჟაკობის კრიტიკიუმიდ მიაჩნიათ სმა და რაკი თავშეკავების კომპლექსი შემუშავებული არა აქვთ, სიმთვრალეში უნამსად იქცევიან, ჩხუბობენ და კამათობენ, თავიანთი უსაქციელობით დამსწრეთ დღესასწაულს უშხამავენ. ჩემი აზრით, ახალგაზრდებმა ტკბილ სუფრასთან შეიძლება მოილხნინონ, მიირთვან კოკტეილი, ლიმონათი, ჩაი, მოისმინონ მუსიკა, იცეკონ, ისაუბრონ.

— სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს სასმელს გოგონებიც მიეძალნენ და ამაში, როგორც ამბობენ, ისინი ზოგჯერ ვაჟებსაც არ ჩამოუვარდებიან.

— ჩვენდა საუბედუროდ, ეს ტენდენცია მართლაც შეიმჩნევა.

ერთი მითხარით, რომელ ვაჟს მოეწონება ალკოჰოლით სახეშემოლი, უაზროდ მოკისკისე გოგონა, რომელსაც პირიდან ღვინის თუ არყის სუნი ამოსდის? როგორ უნდა შეიყვაროს იგი ვაჟმა, როგორ უნდა გაინადოს ცხოვრების თანამგზავრად? როგორი შთამომავლობა ეყოლება ასეთ ქალს — დედას?

— სწორედ ამ კითხვის დასმას ვაპირებდი ახლა...

— მსმელ მშობლებს ავადმყოფი შვილები უჩნდებათ, ფიზიკურად განუვითარებელნი, გონებრივად ჩამორჩენილნი. რა საშინელებაა, ჯანსაღი, ნორმალური ბავშვის ნაცვლად ავადმყოფი და მანინჯი რომ დაიბადება! ჩვილი ბავშვი ხომ დედის რძესთან ერთად იმ შხამსაც ღებულობს, რასაც ალკოჰოლიანი სასმელები გამოჰყოფენ.

მანინჯი შვილები მართო მშობ-

ლების ტრაგედია კი არა, მთელი ერის უბედურებაა.

— როგორ ვებრძოლოთ ალკოჰოლიზმს — საზოგადოების ამ საშინელ ბოროტებას?

— ბევრი რამ არის დამოკიდებული ოჯახზე, სკოლაზე, საზოგადოებაზე. უპირველეს ყოვლისა, მშობლები თვითონ უნდა იყვნენ სამაგალითონი შრომასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავიდანვე უნდა ჩააგონონ ბავშვებს ალკოჰოლიანი სასმელების მავნებლობა. მეტი ყურადღება მიაქციონ ბავშვებს, ეცადონ მათთან გაატარონ თავისუფალი დრო, იცხოვრონ შვილების ინტერესებით, ყოველ წუთსა და წამს იცოდნენ, რას აკეთებენ ისინი, სად და როგორ ატარებენ დროს.

მოზარდებისათვის აუცილებელია სპორტი, სისტემატური ვარჯიში მას სიხალისეს და სიმხნევეს შეჰმატებს, ახალ მიზნებსა და ინტერესებს გაუჩენს.

ჩვენთან სამკურნალოდ მოდიან ავადმყოფები. ძლიერი სამკურნალო საშუალებების გამოყენებით კარგ ეფექტსაც ვაღწევთ და გამოჯანმრთელებულებს ისევ საზოგადოებას ვუბრუნებთ. თუ ყოფილი პაციენტი შეძლებს თავის შეკავებას, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ერთხელ დაღვეს თუ არა, მისი ჯანმრთელობა სწრაფად გაუარესდება და ჩვენი შრომა წყალში ჩაიყრება.

მოზარდებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ორგანიზმი — 3-4-ჯერ უფრო სწრაფად ერევა სასმელს, ვიდრე უფროსისა. რატომ უნდა დაიავადონ ბავშვებმა თავი ძალისძალად, რატომ უნდა გაამწარონ მშობლები, რატომ უნდა იქცნენ საზოგადოებისათვის ზედმეტ ტვირთად? ფიზიკურად ჯანმრთელი და მორალურად ძლიერი ისინი ყველას სჭირდებიან — საკუთარ თავს, ოჯახს, საზოგადოებას, სამშობლოს.

იფიქრე ამაზე, იფიქრე სვალინდელ დღეზე, წინ გაიხედე, ახალგაზრდავ!

ესაუბრა
ნანა ლუნდუა

უსხოური რუმორი

ზარმაცი

ვოლტერს ზარმაცი ხალხი არ უყვარდა. ერთხელ მან სახლიდან გასვლა დააპირა, ფეხსაცმლის ჩახაცმელად მოემზადა, მაგრამ დაინახა, რომ ფეხსაცმელი გაუწმენდავი იყო და შინამოსამსახურეს უხმო:

— რატომ არის ფეხსაცმელი გაუწმენდავი?

— რა საჭიროა, ბატონო, — უბასუხა მოსამსახურე ბიჭმა, — მთელი დამე წვიმა, ქუჩაში ტალახია და ორ საათში თქვენი ფეხსაცმელი ისევ გაითხუპნება.

ვოლტერმა უსიტყვოდ ჩაიცვა დასვრილი ფეხსაცმელი, მოიცვა პალტო, ქუდი დაიხურა და გასვლელისაკენ გაემართა.

— ბატონო ჩემო! — დაუძახა ბიჭმა, — გასადების დატოვება დაგავიწყდათ, მომეცით თუ შეიძლება.

— რის გასადები რა გასადები?

— ბუფეტის, უკლი საჭედილია, შუადღეს ხომ უნდა ვისადილო?

— რად გინდა ჭამა, ორ საათში ხომ ისევ მოგშივდება?

ვოლტერი — ბატონო

ერთმა ახალგაზრდა ბატონმა ვოლტერს ახალდაწერილი ისაწარუდგინა, უნდოდა მისი წიგანეგო.

— წაიკითხეთ ჩემი პიესა, ბატონო ვოლტერი? როგორი აზრის ხართ?

— ჩემო ძვირფასო, იმისთვის რომ კარგი პიესა დაწერო ცნობილი უნდა გახდე, ხოლო ცნობილი რომ გახდე, კარგი პიესები უნდა წერო, — უბასუხა ვოლტერმა.

ფრანგულიდან თარგმნა
იონა ბადავიძე



ასევე ლამაზი ბუჩქნარი შემგნებდა, მიწაზე — ხასხასა მწვენივლიანი უამრავი ჭრელ-ჭრელი ყვავილი იწონებდა თავს.

— აი ეს მესმის, — თავი შეიქო მხატვარმა. — ახლა კი ნამდვილი ტყე გამომივიდა.

მაგრამ გამოხდა ხანი და ტყემ ისევ იწყო ხმობა.

— სოკოების დახატვა დაგავიწყდა, — უთხრა ტყის კაცუნამ მხატვარს.

— მართალია, — დაეთანხმა მხატვარი, — მაგრამ განა ტყეში აუცილებლად უნდა ხარობდეს სოკო? რამდენჯერ ვყოფილვარ ტყეში, სოკოს ყოველთვის როდი შევხვედრივარ.

— ეს არაფერს ნიშნავს, — უთხრა ტყის კაცუნამ. — ტყეში სოკო აუ-

იური ლიშიგინი

ტყის დიდი ჭიბნი

მოსკოვის საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ მკითხველს მიაწოდა იური ლიშიგინის ძალზე საინტერესო და სახარგებლო მეცნიერულ-მხატვრული ნაწარმოები — „ტყის დიდი წიგნი“. ეს „ტყის ენციკლოპედია“ მოიცავს შემეცნებითსა და ამავე დროს ჭეშმარიტად პოეტურ პატარ-პატარა მოთხრობებს ტყეზე, მის ცხოვრებაზე... აქაურ მცენარეებზე, ცხოველებზე და ფრინველებზე... თხრობა ტყის ბერკაცუნასა და მხატვრის საუბრის ფონზე წარიმართება. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან.

ნაღვლიანი ამაზი, რომელიც სახელდინაროდ არ მოხდა, მაგრამ შეიძლება წინათმად გამოადგას ამ წიგნს

ერთხელ ერთმა მხატვარმა ტყის დახატვა გადაწყვიტა. „რა არის ტყე? — მსჯელობდა მხატვარი. — ტყე, რა თქმა უნდა, ხეებია“. ჰოდა, შეუდგა ხეების ხატვას, დახატა არყის ხეები და ნაძვები, მუხები და ფიჭვები; ცაცხვები და სოჭი, ლარიქსი და თხილნარი. მშვენიერი რამ გამოუვიდა. ყველა ხე ისე ჰგავდა ნამდვილს, რომ იფიქრებდით, სადაც არის ნიავი წამოუქროლებს და ათრთოლდება ვერხვის ფოთლები, ანანავდება და დაირწევა ნაძვის თათები, არყის ხის ტოლებიო.

სურათის კუთხეში მხატვარმა დიდწვერა ჯუჯა — ტყის ბერკაცუნა მიახატა, იმიტომ რომ, აბა, უბერკაცუნოდ ტყე რა ტყე იქნებოდა?!

დაკიდა მხატვარმა სურათი კედ-

ლზე, ერთხანს სიამოვნებით უყურა, ნემდგე კი სადღაც გაემგზავრა. ხოლო როცა დაბრუნდა, ნახატზე მწვანე ნაძვებისა და ხუჭუჭა არყის ხეების ნაცვლად შიშველი აჩონჩხილი ხეები-ლა დახვდა.

— რა მოხდა? — გაუკვირდა მხატვარს, — რატომ გადახმა ჩემი ტყე?

— განა ეს ტყეა? — მოესმა უცებ მხატვარს. — ეს ტყე კი არა, ხეებია მხოლოდ.

შეხედა მხატვარმა სურათის კუთხეს და მიხვდა, რომ მას ტყის ბერკაცუნა ელაპარაკებოდა.

— ვის გაუგონია ტყე უბუჩქებოდ უბალახოდ, უყვავილებოდ?! — განაგრძობდა კაცუნა.

— სწორია, — დაეთანხმა მხატვარი და ახალი სურათის ხატვას შეუდგა.

ხელახლა დახატა ხეები და ამჯერად გაცილებით უკეთესები გამოუვიდა, რადგან ახლა მათ გვერდს

ცილებლად უნდა იყოს, აბა, უსოკოდ ტყე გამიგონია?!

აილო მხატვარმა და თავის ტყეში სოკოებიც დახატა.


მაგრამ ტყე მაინც განაგრძობდა ხმობას.

— ეს იმიტომ, რომ შენს ტყეში მწერები არ არიან, — უთხრა კაცუნამ. აილო მხატვარმა ფუნჯი და ყვავილებსა და ფოთლებზე ხატულა პეპლები და ჭრელაჭრულა ხოჭოები დასხა. — ახლა კი ყველაფერი რიგზეაო! — გადაწყვიტა და ერთ ხანს უყურა თავის ტყეს, დატკბა მისი ცქერით, მერე ადგა და ისევ სადღაც გაემგზავრა.

როცა დაბრუნდა და სურათს შეხედა, თვლებს არ დაუჭერა: სურათზე ხასხასა მოლისა და ფერად-ფერადი ყვავილების ნაცვლად შიშველი მიწა და დარჩენილიყო, ხეებიც განძარცულები იდგნენ, თითქოს შუა ზამთარიო. ნაძვები და ფიჭვები ხომ სიმწვანეს არ კარგავენ, სურათზე კი მათაც დასცვენოდათ წიწვები.

მხატვარი სურათს მიუახლოვდა და... შეშინებული უკუიქცა. სურათზე ყველაფერი — მიწაც, ხეებიც და ხეთა ტოტებიც ურიცხვ ხოჭოსა და მუხლუხოს დაეფარა.

ტყის ბერკაცუნაც კი ისე მიჩოჩე-



ბულიყო ზედ სურათის კიდესთან, გეგონებოდათ, სადაც არის ჩამოვარდებო, — სახე ნალვლიანზე ნალვლიანი ჰქონდა...

— სულ შენი ბრაღია! — უყვირა მხატვარმა. — შენ მაიძულე მწერები დამეხატა. მათ კი, აიღეს და მთელი ტყე შემხარამუნეს!

— მართალია, — თქვა ტყის კაცუნამ, — მართალია, მთელი ტყე გადაჭამეს. ეგ კი არა, კინალამ მეც ზედ არ მიმყოფეს!

— რა გვეშველება ახლა? — შეიცხადა მხატვარმა. — ნუთუ ვერასოდეს ნამდვილ ტყეს ვერ დავხატავ!

— ვერასოდეს, — თუ ჩიტებს არ დახატავ, — უთხრა ბერკაცუნამ, იმიტომ, რომ, ნამდვილი ტყე უფრინველოდ არ გაიხარებს.

მხატვარს დავა აღარ დაუწყია, ისევე აიღო ფუნჯი და საღებავები. დახატა ხეები და ბუჩქები, მიწაზე ხასხასა მოლის ხალიჩა გადაფინა და ჭრელ-ჭრელი ყვავილებით შეამკო. ხეებქვეშ, ბალახებში სოკოები ჩამალა, ფოთლებსა და ყვავილებზე პეპლები და ხოჭოები, ფუტკრები და ნემსიყლაპიები დასხა, ხეთა ტოტებზე კი მხიარული ჩიტუნები ჩამოასკუბა.

დიდხანს მუშაობდა მხატვარი, ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა. მაგრამ, როცა ბოლოს გადაწყვიტა, ახლა კი კმარაო და ფუნჯის დადება განიზრახა, ტყის კაცუნამ უთხრა:

— მომწონს მე ეს ტყე! და ამიტომ არ მინდა, დაიღუბოს.

— რატომ უნდა დაიღუბოს? ახლა რაღა აკლია?!

— აკლია, — თქვა ტყის კაცუნამ, — გომბეშო და ხელიკი არ დავიხატავ.

— ფუჰ, არამც და არამც! — გადაჭრით განაცხადა მხატვარმა.

— უნდა დახატო! — მტკიცედ უთხრა ტყის კაცუნამ.

რას იზამდა, დახატა მხატვარმა გომბეშოცა და ხელიკიც. მათთან ერთად სხვადასხვა მხეცი და ნადირი. მაშინდა მორჩა მუშაობას, როცა უკვე მთლად ჩამოხნულა. მხატვარმა სინათლის ანთება იფიქრა, ერთი კარგად დავინახო, რა გამომივიდაო, მაგრამ ამ დროს რაღაც შარიშური,

ფრუტუნნი და ფიჩხის ლაწალაწი მოესმა.

— აი, ეს კი უკვე ნამდვილი ტყეა! — გაისმა სიბნელეში ტყის კაცუნას ხმა, — ახლა იგი ნამდვილად იცოცხლებს, რადგან აღარაფერი აკლია: არც ხეები, არც ბალახი, არც სოკოები, არც ყვავილები, არც ცხოველები. აი, ეს არის ტყე!

მხატვარმა აანთო სინათლე და სურათს შეხედა. მაგრამ ტყის კაცუნა სადღაც გამქარალიყო, ან იქნებ იგი, უბრალოდ, ბალახებში ჩაიმალა, ან ბუჩქებში შეძვრა, ანდა აბობლდა და ხშირ ფოთლებში გაუჩინარდა. განაცოტა ტყეში ადგილი, სადაც დამალვა შეიძლება? ტყეში ხომ აურაცხელი, ათასობით ბინადარი აფარებს თავს, თან ისე, რომ ვერასგზით ვერ შეამჩნევ! მაგრამ ყველანი ტყეში არიან, იქ ბინადრობენ ერთად! სწორედ ეს არის ტყე!

კომპასები

კომპასი ლაშქრობაში მეტად საჭირო, აუცილებელი ნივთია. მაგრამ შეიძლება კომპასი ხელთ არ გქონდეს, ანდა გაგიფუტდეს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არც კი ფიქრობდი სახლიდან შორს წასვლას, მაგრამ პეპლების დევნამ ან სოკოების კრეფამ გაგიტაცა და ორიენტაცია დაკარგე. და აი, სწორედ ამ დროს დაგეხმარებიან ხეები. რა თქმა უნდა, ისინი შინისაკენ გზას ვერ მიგასწავლიან, მაგრამ გიჩვენებენ ქვეყნის მხარეებს, ე. ი. კომპასის მაგივრობას გაგიწევენ.

ტყეში მრავალი ხის ქერქს ხავსი და ხავსურა ფარავს. აბა ერთი საგანგებოდ დააკვირდი: ხავსი და ხავსურა ხის ტანზე ყველგან ერთნაირად როდი იზრდება — ცალ მხარეს იგი უფრო ხშირია. ხავსსა და ხავსურას სითბო არ უყვართ, ჩრდილს ამჯობნიებენ. მხარეთაგან რომელია ჩრდილიანი? ცხადია — ჩრდილოეთი.

მაგრამ მარტოოდენ ერთ ხეს არ უნდა დაენდო. განა ცოტაა შემთხვევითობა? მხარე რომ სწორად განსაზღვრო, რამდენიმე ხე შეათვალიერე, და როცა დარწმუნდები, რომ ამ ხეებზე ხშირი ხავსი ერთსა და

იმავე მხარესაა, თამამად იბრუნე მიმართულებით, თუ კი, რაღა თქმა უნდა, ჩრდილოეთისკენ წასვლა გსურს; თუ სამხრეთისაკენ გინდა წახვიდე, მაშინ საპირისპირო მიმართულება აირჩიე.

ხდება ხოლმე, ხეზე იმდენად ცოტა ხავსი და ხავსურა, რომ მათა საშუალებით ქვეყნის მხარეებს ვერ განსაზღვრავ.

მაშინ ხის ქერქი გიხსნის — ჩრდილოეთის მხრიდან იგი ყოველთვის უფრო მუქი და უხეშია, ვიდრე სამხრეთიდან. განსაკუთრებით ეს არყის ხეს ემჩნევა — მისი ქერქი სამხრეთის მხრიდან თეთრი და სუფთაა, ჩრდილოეთის მხრიდან კი, ჩვეულებრივ, — ბზარებით, კორძებითა და ლაქებით დაფარული.

ზოგჯერ სხვაგვარადაც ხდება — წიწვიან ტყეში ხშირად ხეებს ხავსი და ხავსურა ყოველი მხრიდან თითქმის თანაბრად ეკვრის; ვერც ქერქით ხერხდება ქვეყნის მხარის განსაზღვრა — ფიჭვზე და ნაძვზე არც თუ ისე იოლად გაარჩევ რომელ მხარესაა ქერქი უხეში. მაინც დააკვირდი: მრავალ ხეს, განსაკუთრებით ფიჭვს, ძირიდან თითქმის კენწეროდ მუქი ზოლი გასდევს. ეს ზოლი უფრო მკვეთრად ღია ფერის ქერქის ფონზე ჩანს. ეს მუქი ზოლი ყოველთვის ჩრდილოეთის მხარესაა. იგი სინოტივისაგან წარმოიქმნება. წვიმაში ხის ქერქი სველდება, მაგრამ საკმაოდ ადრე შრება ყოველი მხრიდან გარდა ჩრდილოეთისა. — ამ მხარეს ხომ მზე ნაკლებია და სინოტივეც უფრო დიდხანს რჩება.

მაგრამ თუ დიდი ხანია კარგი დარები და ხეებიც მთლიანად გამშრალია, შენ წარმოიდგინე, ხე მაშინაც კი მიგანიშნებს ქვეყნის მხარეებს.

თითქმის ყველა წიწვიანი ხის ტანზე ბრწყინავს ფისის წვეთები. მაგრამ ხის ყოველ მხარეს ერთნაირად როდია იგი შესქელებული და ჩამოღვენილი. ყველაზე მეტი ნაღვენი იმ მხარესაა, რომელსაც მზე მეტხანს ადგას — ე. ი. სამხრეთით.

ერთგვარ კომპასად მარწყვიც გამოდგება. მარწყვი მარტოოდენ გემრიელი კენკრა როდია. მასაც ხეების

ჭრელტყავა მტაცებელთა ირგისა და კვერნისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი გავრცელებულია რუმინეთში, ბულგარეთში, წინა და მცირე აზიაში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანში, ჩინეთში, საბჭოთა კავშირში გვხვდება უკრაინის სამხრეთსა და შავი ზღვის სანაპირო ველებზე, უაზახეთში, ამიერკავკასიაში. საქართველოში — ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გორის, კასპის, მცხეთის, თელავის, ბოლნისის რაიონებში, აგრეთვე სამგორში. ჭრელტყავას სიმშრალე უყვარს, ამიტომ საცხოვრებლად ღია, მშრალ ლანდშაფტს



ჭრელტყავა

ირჩევს. საზოგადოდ სოროს თავად თბრის, მაგრამ ხშირად ხვდის მიერ მიტოვებულ სოროში ბინადრობს. სახლდება ქუჩიან ზეგნებზე, ბაღებსა და ბოსტნებში.
ჭრელტყავას წაგრძელებული სხეული 27-35 სმ-ს აღწევს, მისი ფუმფულა კულის ხივრძე კი 12-18 სმ-ია, დი-

დი, თეთრი ყურები მკვეთრად გამოირჩევა სხეულის საერთო ფონზე. მოკლე ბეწვი ჭრელია და ცვალებადი. ზურგზე მოყვითალო-ოქროსფერია, უსწორო ფორმის რუხი ლაქებით, კისრის ქვედა მხარეზე და მუცელზე მოყავისფრო-რუხია. იგი მდარე ხარისხისა და სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.
ჭრელტყავა ძირითადად

მღრღნელებით იკვებება, ზოგჯერ მიწაზე მოზუღარ ფრინველებსაც ეხხმის თავს.
საქართველოში ჭრელტყავას რაოდენობა ძალზე მცირეა, ამის მიზეზად უნდა ჩათვალოს, როგორც მისი ტიპური ადგილ-სამყოფლის სასოფლო-სამეურნეო მიწებით ათვისება, ასევე ისიც, რომ მის დახაცვად არავითარი ზომები არ არის მიღებული.



მსგავსად, შეუძლია მიგანიშნოს საით არის ჩრდილოეთი და საით — სამხრეთი. და საერთოდ, ტყეში საკმაოდ ბევრი კომპასია. ბალახი რომ ბალახია, მასაც კი შეუძლია ზოგჯერ კომპასის მაგივრობა გასწიოს.
გაზაფხულობით მდელოზე ბალახი თანაბრად არ იზრდება: ერთ მხარეს იგი ხშირია, მეორე მხარეს კი — მეჩხერი. ეს ადვილად შესამჩნევი და დასამახსოვრებელია: ხშირი ბალახი მდელოზე ჩრდილოეთით იზრდება. განმარტოებული ხის ან დიდი ჯირკის ირგვლივ ამოსული ბალახი სამხრეთის მხრიდან უფრო მაღალია, ვიდრე ჩრდილოეთის მხრიდან. მაგრამ ეს ასეა ზაფხულის პირველ ნახევარში,

მეორე ნახევარში კი — ქვეყნის მხარეები სხვაგვარად განისაზღვრება: განმარტოებული ხისა თუ ჯირკის სამხრეთის მხრიდან ბალახი უკვე ყვითლდება, ჭკნება და, როგორც ამბობენ, იცრიცება, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთის მხარეს იგი ჯერ კიდევ ხასხასაა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩრდილოეთის მხრიდან, საითაც მეტი ჩრდილია, ბალახი უფრო სუსტად იზრდება, ვიდრე სამხრეთით — მზიან მხარეს. სამაგიეროდ ზაფხულის მეორე ნახევარში მზიან მხარეს იგი მალე ყვითლდება, იცრიცება.
ახლა ისევ მარწყვს მივუბრუნდეთ... ზოგჯერ ბალახში გამოკრთება ხოლმე ხასხასა წითელი კენკრა, ზოგ-

ჯერ კი უმწიფარიც გვხვდება, რომელსაც ერთი მხარე წითელი აქვს — მეორე ვარდისფერი, ან ერთი ვარდისფერი, მეორე კი სულ მწვანე. აი სწორედ ეს უმწიფარი კენკრაა კომპასი: უფრო მწიფე მხარე ყოველთვის სამხრეთისაკენ მიგვითითებს. საითაც მეტია კენკრის დასამწიფებლად საჭირო მზე და სითბო. ჩრდილოეთის მხრიდან კი კენკრა დიდხანს მწვანედ რჩება მზის სინაკლულის გამო. თუ ხის, ჯირკის ან ქვის ირგვლივ რამდენიმე ძირი მარწყვი იზრდება, მაშინ მარწყვი სამხრეთის მხარეს უფრო ადრე მწიფდება.



ჩიტბატონა

ჩიტბატონა ერთ-ერთი ულამაზესი ფრინველია. მან ადამიანს თავი არა მარტო თავისი სილამაზით, არამედ ტკბილი გალობითაც შეაყვარა. ჩიტბატონა გავრცელებულია საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში, დასავლეთ ციმბირში, კავკასიის ტყეებსა და ტიან-შანში. სამხრეთელი ჩიტბატონა მკვიდრი ფრინველია, ჩრდილოეთელი კი — მომთაბარე, მონეტიალური. ისინი ღია ბუდეებში იკეთებენ, მაგრამ ისე ოსტატურად ნიღბავენ, რომ მისი აღმოჩენა ძალზე ძნელი საქმეა.

ბუნებრივ პირობებში ჩიტბატონა სარეველა მცენარეთა თესლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გამანადგურებელია.

ტყვეობას ეს ფრინველი ადვილად ეჩვევა და არც გალობაზე ამბობს უარს, ოღონდ ცოტა უჭირს ადამიანთან შეგუება. ძალიან უყვარს მუსიკა თუ მოეწონა, მაშინვე აწყვება ხოლმე თავისი გალობით. რაც უფრო მაღლა აუწევს ხმას მუსიკას, მით უფრო ხმამაღლა გალობს ჩიტბატონაც. გალობს მამალი, დედალი კი უფრო თავშეკავებულია.

მამალთან შედარებით, დედალი ჩიტი მჭკრალი ფრისაა. საქართველოში გვხვდება ჭადრა ჩიტბატონაც, რომელსაც თავზე შავი ბუმბულის ნაცვლად მონაცრისფრო ბუმბული აქვს. ამის გამო ზოგ გამოუცდელ მოყვარულს იგი ბარტყი ჰგონია.

როდესაც ჩიტბატონა ადამიანს კარგად შეეჩვევა, შეიძლება გალიიდან მისი გამოშვებაც. მე, ამ სტრუქტურების ავტორს, კარგა ხანს მყავდა ერთი ჩიტბატონა, რომელსაც ნდობით ვეკიდებოდი და ხშირად ვუშვებდი ხოლმე გარეთ. იგი ყოველთვის ბრუნდებოდა შინ. მაგრამ ერთხელ, ჩემდა სამ-

წუხაროდ, ჩიტუნა აღარ დაბრუნდა. დღემდე არ ვიცი, რა დაემართა, დამივიწყა თუ უბედურება შეემთხვა. ახლა ჩიტბატონების გალობით ჩემს აგარაკზე ვტკბები. ეს ჩიტი გაზაფხულზე გალობს, რათა დედალს თავი მოაწონოს, ზაფხულში — მის მეგობარს რომ არ მოსწყინდეს, ვიდრე იგი კვერცხებზე ზის კრუხად, ხოლო შემდეგ — როდესაც ბარტყებს დაზრდიან, დააფრენენ და მშობლების სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. გარდა ამისა, დილაობით ჩამოხსნებიან ხოლმე ხის ტოტზე და ხმამაღლა „მსჭელობენ“ — საით გაფრინდნენ, რა მოინადირონ რომელი მინდორი თუ ტყის

კანაფის, სარეველა მცენარეთა თესლით. აძლიეთ ხილიც. სხვათა შორის, იგი არც მწეხუმზირას ჩაცნატუნებაზე ამბობს ხოლმე უარს.

ჭიჭკაპი

ჭიჭკავი ყველაზე პოპულარულ მაგალობლად ითვლება მოყვარულთა შორის. როგორც წესი, იგი ტყვეობას ორ-სამ დღეში ეჩვევა და გალობასაც იწყებს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი შეიძლება ზელშიც ავიყვანოთ და მოვეფეროთ.

ეს ფრინველი ჩვენი ქვეყნის

დედალი კი არ გალობს. მამალი დედლისაგან განსხვავდება კაშკაშა მომწვანო-მოყვითალო ფერით, თავზე მას ქულივით ადევს შავი ბუმბული. ჭიჭკავებს გალიაში მარტო ცხოვრება ურჩევნიათ, ამ პირობებში ისინი უფრო ხალისიანად გალობენ. თუმცა დიდ გალიაშიც შეუძლიათ არსებობა, სხვა ჭიშის ფრინველებთან ერთად ზოგ შემთხვევაში ტყვე ჭიჭკავის წყვილი მრავლდება, კვერცხებსაც დებს და ბარტყებსაც ზრდის.

ბუნებრივ პირობებში ჭიჭკავი შთამომავლობას კვებას მწერებით (გაზაფხულსა და ზაფხულში) და მცენარეული თესლით (შემოდგომაზე და ზამთარში). ჭიჭკავს, ისევე როგორც ჩიტბატონას, დიდი სარგებლობა მოაქვს სახალხო მეურნეობისთვის იმით, რომ ანადგურებს სარეველა ბალახის თესლსა და მავნე მწერებს.

ჭიჭკავი მკვიდრი ფრინველია, ზეტიალი და სამშობლოს მიტოვება არ სჩვეია.

უკვე რამდენიმე წელია, ჭიჭკავი იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე საქართველოს ტყვეულში, რაც ორმაგად სამწუხაროა: მშობლიურ ფაუნას აკლდება მისი ერთ-ერთი მშვენიერი წარმომადგენელი, ხოლო სახალხო მეურნეობას — ერთგული და ეფექტური თანაშემწე სარეველებთან და მავნე მწერებთან ბრძოლაში.

ტყვეობაში ჭიჭკავს კვებავენ ისევე, როგორც ჩიტბატონას — სხვადასხვა მცენარეთა თესლის ნარევით, რომელსაც ხილი და მწვანელიც უნდა დამატოს.

ნ. ანდრეივი



პირი დალაშქრონ. ის კი არა, ჭამის დროსაც ხალისიანად ჭყვიანებენ. ერთი სიტყვით, თითქმის მთელი წლის მანძილზე, დილიდან საღამომდე მესმის მათი მხიარული გალობა და აბა რაღად მინდა, რომ რომელიმე მათგანი შევიპყრო და გალიაში გამოვამწყვდიო! იფრინონ, მეც დამატკბონ თავიანთი გალობით და სხვებიც.

თუ ჩიტბატონა გალიაში გყავთ, კვებით იგი ფტტვით,

ბევრ კუთხეში შეიძლება შეგვხვდეს. განსაკუთრებით კარგად შეგუებია იგი შუა აზიასა და ციმბირს. იქაური ჭიჭკავი გალობისას გამოცემს დაახლოებით ასეთ ბგერებს: „ჩი-ჟიკ“, „ჩი-ჟიკ“. აქედან წარმოსდგა მისი რუსული სახელწოდება — „ჩიჟიკი“.

გალიაში მამალი ჭიჭკავი მთელი წლის განმავლობაში გალობს, თუ არ ჩავთვლით ბუმბულის ცვლის პერიოდს.





ერთაწმინდის ტაძარი

ერთაწმინდის წმინდა ესტატეს სახელობის ტაძარი კახის რაიონშია, სოფელ ერთაწმინდაში, მდინარე თემის მახლობლად. თბილისიდან გზა რკინიგზის სადგურ მეტეხისა და ახალქალაქის გავლით მიემართება. ძველი აღმართულია მთის ფერდობზე, სოფლის შუაგულში, სამხრეთით ტყით დაფარული მთა ესაზღვრება. ტაძრის ეზოდან ულამაზესი ხედი იშლება. ერთაწმინდის მიდამოებში რამდენიმე ძველია შემორჩენილი; გარიყულასთან (ახალქალაქის განაპირა უბანი), მაღლობზე ფანჯისის დარბაზული ეკლესიაა; ერთაწმინდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბორცვზე, „ზედა ციხის“ ნანგრევებია. თვის სოფელში ჭერ კიდეც 20-იან წლებში გლეხური საცხოვრებელი დარბაზები იდგა, რომლებიც დღეს აღარ არსებობენ.

ერთაწმინდის ეკლესიამ მკვლევართა ყურადღება ადრევე მიიქცია. ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „არს თქამზე ახალ-

ქალაქი, ამას ზეით ეკლესია გუმბათიანი ერთაწმინდისა, სასწაულმოქმედი“. ვახუშტის შემდეგ ძველი პლატონ იოსელიანმა მონახულა და დაწვრილებით აღწერა ეკლესიაში დაცული ხატები და ხელნაწერები. 1911 წელს ისტორიკოსმა მოხე ჯანაშვილმა გამოსცა ერთაწმინდის გულანი, რომელიც გადაწერილია XVI საუკუნის დასაწყისში. ძველის ისტორიას თუ არქიტექტურას მოკლედ შეეხნენ აკადემიკოსი მარი ბროსე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, აკადემიკოსი ნ. კონდაკოვი. ექვთიმე თაყაიშვილი გულისტყვილით აღნიშნავდა: ბევრი ხატი და ნივთი, რომლებიც პლატონ იოსელიანმა 1847 წელს აღწერა, ახლა დაკარგულიაო. ია კარგარეთელმა ძველის შესახებ „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდა მეტად საინტერესო წერილების სერია. გაკვრით იხსენიებს მას პროფესორი სერგი მკაულაია. არსებობს ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილის მიერ გადაღებული ფოტოსურათები. 1948 წელს ძველი აზომა არქიტექტორმა ლ. წილოსანმა. ერთი სიტყვით, ძველით დაინტერესება დიდი ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, არქიტექტურულად იგი მინც არ შესწავლილა. ეკლესია მეცნიერულად შეისწავლა ინა გომელაურმა და კვლევის შედეგები 1978 წელს გამოსცა კიდეც ცალკე მონოგრაფიად („ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურა“).

ერთაწმინდა გათლილი ქვით მოპირკეთებული დიდი გუმბათოვანი ეკლესიაა. მას დასავლეთიდან მიდგმული შქონია სამნაწილიანი კარიბჭე, რომელიც ახლა თითქმის დანგრეულია.

ეკლესიას სამი შესავლელი აქვს — დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ტაძარი საკმაო რაოდენობის შეწყვეტილებული სარკმლებით ნათდება, ისინი თითქმის ყველა თაღოვანია. სამხრეთით და ჩრდილოეთით მათ უფრო მცირე ზომის სარკმელია მეორე წყვილი ემატება. აღმოსავლეთითაც ისინი ორ რიგადაა განლაგებული. გარდა ამისა, თაღოვანი და მრგვალი სარკმლები დატანებულია აღმოსავლეთის კუთხის ოთახებში. თავის დროზე ამას ემატებოდა გუმბათის ყელის სარკმლები, ალბათ თორმეტი, ახლა კი გუმბათის ყელში

მხოლოდ რვა სარკმელია. არის სხვა, გვიან, ხანებში გაჭრილი რამდენიმე სარკმელიც ეკლესიის ინტერიერი მთლიანად თლილი ქვითაა მოპირკეთებული, თუმცა, ჩანს, თავდაპირველ ფენაში მოსაპირკეთებლად აგურიცაა ნახმარი. ძველი რესტავრირებულია უხეშად გათლილი მუქი რუხი ფერის ქვიშა და ნატეხი ქვით. ეკლესიის ჩრდილოეთ მკლავში შემორჩენილია გვიანდელი ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები, კომპოზიციაში წარმოდგენილია წმ. ესტატეს ცხოვრების სცენები. ძველი საუკუნეების მანძილზე მრავალჯერ შეკეთებულა. დღევანდელი გუმბათის ყელი გუმბათითურთ გვიანდელია. იგი სამშენებლო ოსტატობის დონით განსხვავდება ძველის სხვა ნაწილებსაგან. ახლანდელი გუმბათის ყელი დაბალია, სარკმელთა მოხაზულობა — დეფორმირებული. მნიშვნელოვნადაა გადაკეთებული დასავლეთის მკლავი. კამარა ჩამონგრეულია. სამხრეთის მკლავიც ძლიერ ყოფილა დაზიანებული, მაგრამ ახლა აქ კამარა ახალია, იგი ბრტყელი და დეფორმირებულია. აღარ არის საყრდენი თალი, რომელიც თავდაპირველი ხანით ჩრდილოეთის მკლავში შემორჩა, დროთა განმავლობაში შეიცვალა ჩრდილოდასავლეთის ნაწილი. დაზიანებულია საკურთხეველთან მოთავსებული სამხრეთის კუთხის ოთახები, განსაკუთრებით ზედა სართულისა. გვიანდელი უნდა იყოს ეკლესიის მთლიანი შელესილობაც. როგორც ჩანს, შელესილობას დაუფარავს ფრესკული მხატვრობა და წარწერა, რომელიც პ. იოსელიანს უნახავს ერთაწმინდაში; მის დროს ტაძარი მთლიანად დაფარული ყოფილა მხატვრობით. ე. თაყაიშვილის აქ ყოფნის დროს ტაძარი უკვე შელესილია. ჩვენ არ ვიცით, პ. იოსელიანს მხატვრობის რომელი ფენა დახვდა, საფიქრებელია, რომ ძველი აგებისთანავე მოხატა. ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოვლენილი მხატვრობის ფრაგმენტები გვიანდელია. ეკლესიის ფასადები მოპირკეთებულია კარგად გათლილი თბილი მოყვითალო ქვით. ყველაზე კარგად არის გაფორმებული აღმოსავლეთის ფასადი. აქ სარკმლებს შორის ჩართულია დეკორაციული ჭვარი, რომელიც ქვედა მკლავის ვარდულით ცენტრალური

„სამი და“

აშუამდ შედარებით სიმშვიდეა „ეშმაკის“ სამკუთხედის“ რაიონში, სადაც უგზო-უკვლოდ ქრებოდნენ გემები თავიანთი ეკიპაჟებითურთ, სამაგიეროდ, გაჩნდა იღუმადებით მოცული ახალი ადგილი კანადასა და აშშ-ს შორის, ე. წ. ხუთი ტბის რაიონი, სადაც უკანასკნელ წლებში რამდენიმე გემი გაუჩინარდა. ყველაზე ცნობილი შემთხვევაა

ზემო ტბაზე სატვირთო გემის „ედმუნდ ფ. ფიცჯერალდის“ დაკარგვა, მას რკინის მადანი გადაჰქონდა და ისე სწრაფად გაქრა, რომ „სივ“ ნიშნის გადაცემაც ვერ მოახწრო. მეორე გემის კაპიტანმა, რომელიც იმავე კურსით მიდიოდა და რადიოლოკატორის ეკრანზე ხედავდა „ფიცჯერალდს“, როგორც მნათ წერტილს, დაინახა, რომ უეცრად ეს წერტილი ჩაქრა და აღარ ანთებულა. კაპიტანმა მომზადარი



იბნო

თუ აკა უნს

მომოხიჯ მხაჯს?



რა არის ამ სურათში
აღზებდელი და რა
იციტ მის შესახებ?



სარკმლის საპირეს ერწყმის. სარკმელი ლილ-
ვებიან ღერძზეა შეყენებული, ნიშებში მო-
თავებული სარკმლები რთული პროფილის
საპირებითაა შემკული. ფასადის მთელ სიბრ-
ტყეს კვეთს მოჩუქურთმებული რელიეფური
ფრიზი. მარცხენა მხარეს ვალარჩინილი ფრ-
გმენტის მიხედვით ირკვევა, რომ იგი რთული
პროფილის ორნამენტით იყო გაფორმებუ-
ლი. არანაკლები მზრუნველობითაა შესრუ-
ლებული ჩრდილოეთის ფასადი, რომელიც
თითქმის ანალოგიურია აღმოსავლეთის ფასა-
დისა. ცოკოლს ლილვისებური საფეხური
აქვს. სამწუხაროდ, სამხრეთის ფასადი დაზი-
ანებულია, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას,
რომ ის ჩრდილოეთის ფასადის ანალოგიურა
ყოფილა. დასავლეთის ფასადი ძირითადად
მსგავსია აღმოსავლეთისა. აქაც სამანწილიანი
სიბრტყეა შეწყვეტილებული სარკმლებით და
დეკორაციული ჯვრით.

ძველი რესტავირებულია 1952 წელს.
ერთაწმინდის ტაძრის სურთომოდვრული

სახე და მორთულობა გვიჩვენებს, რომ იგი
დაკავშირებულია XII-XIII საუკუნეების
მიჯნის ძეგლებთან (ბეთანია, ქვათახევი, ფი-
ტარეთი, წულრულაშენი, ასტალა, მალაღანთ
ეკლესია, გულარები...). ერთაწმინდის შინა-
განი სივრცე (აზიდულობა, განათება) და
ფასადების განთავისუფლება დეკორაციული
თაღებისაგან მას XIII საუკუნის პირველი
ნახევრის სურთომოდვრებასთან აკავშირებს.
ამასვე მოწმობს მორთულობის ძირითადი
ელემენტები (შეწყვილებული სარკმლები,
მოჩუქურთმებული კარნიზი, სარკმელთა მო-
ჩარჩოების სახეები), თუმცა მაინც ჩანს
ისეთი ცვლილებები, რომლებიც მხოლოდ
მომდევნო საუკუნეებში ჩნდება (შენობის
დამძიმებული მასები, მკლავებს შორის
მონაკვეთების შევიწროება). ორნამენტის
შესრულებაში თავს იჩენს სიმშრალე, მნიშე-
ნელოვან ადგილს იჭერს გეომეტრიული ორ-

სამრგო თიშვადის ფოტო

ნამენტი, მისი ნახატი დაწვრილმანდა. ყოვე-
ლივე ამის გათვალისწინებით მკვლევარები
ძეგლის შექმნას რუსულანის მეფობის ხანას
უკავშირებენ (1229-1245 წლები). ადნიშნულ
პერიოდში ქართლის მმართველობა გავლე-
ნიანი გვარის — სურამელთა ხელშია. ადვი-
ლი შეხადლებლია, რომ ქართლის ერისთავი
გრიგოლ სურამელი, მისი ძმა ივანე და გრი-
გოლის ვაჟი ბეგა ლაშა გიორგისა და რუ-
სულანის თანამედროვეები იყვნენ. 1610
წლიდან ერთაწმინდა გიორგი სააკაძის და
მის შთამომავალთა — თარხან-მოურავების
საგვარეულო აკლდამას წარმოადგენს. ტაძა-
რში ასვენია გიორგი სააკაძის ვაჟის პაატას
თავი.

ამირან ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ამბავი სასწრაფოდ იცნობა
ნაპირზე. რამდენიმე ხნის ძე-
ბნის შემდეგ გემი 18 მეტრის
სიღრმეზე აღმოაჩინეს. კატა-
სტროფა ყველაზე დამაჯერებ-
ლად ახსნეს კანადელმა მეთე-
რებებმა. ზემო ტბაზე ძლიერი
ქარებისას ერთმანეთს მოჰყუ-
ბა სამი 10 მეტრი სიმაღლის
უზარმაზარი ტალღა — მათ
„სამ დას“ ეძახიან. როგორც
ჩანს, გემი ამ ტალღების
მსხვერპლი გახდა. გემის სიგ-
რძე 200 მეტრი იყო, ინტენ-

სიური ლეღვისას, ეტუობა, სა-
შიფე ტალღა მძიმედ დაეშვა
გემზე, გემმა ამ ვეება წნევას
დაწოლას ვერ გაუძლო, გა-
დატულა და ხწრაფად ჩაიძი-
რა.

ნავთობის შემცველი
ნავთობის შეცვლაზე მსო-
ფლიოს მრავალ ქვეყანაში
მუშაობენ. ერთ-ერთმა ინგ-
ლისურმა ფირმამ ახალი თბე-
ვალი საწვავის ტექნოლოგია
შემოუშავა; შენაერთში 80%

მაჟული და 40% ნახშირი შე-
დის. ეს საწვავი საგრძობ-
ლად შეამცირებს „შავი ოქ-
როს“ ხარჯვას.
ამას გარდა იგი ჩვეულებ-
რივ პირობებში 21 თვის გან-
მავლობაში ინარჩუნებს თა-
ვის ხარისხს.

მინის სპალპელი
შეიძლება თუ არა თანა-
მედროვე ქირურგიაში გამო-
ყენონ ვულკანური მინის—
ოზნიდიანისგან დამზადებული

დანა? შეიძლება. რადგან იგი
უფრო პრაქტიკულია, ვიდრე
ჩვეულებრივი ფოლადის სკა-
ლპელი. მინის დანა 100-ჯერ
უფრო ბასრია და უფრო დი-
დხანსაც ძლებს. ვაშინგტონის
(აშშ) უნივერსიტეტის მეცნი-
ერებმა გააანალიზეს ამ სკალ-
პელით მომუშავე ქირურგთა
საქმიანობა და დაადგინეს,
რომ ოზნიდიანის დანა ნაკლე-
ბად აზიანებს კანს, ნაოპერა-
ციევი ქირილობა კი უფრო
სწრაფად ხორცილება.



განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამხმარებელი მწვრთნელი შოთა ინჟაბრავილი

თამაშობან ნორჩები

პოზიცია № 1

თოლორაბი (მესამეთანრიგისაანი. 10 წლის): მფ1, ეა7, პ:გ6, h4 (4);

ჩიძოპანი (მესამეთანრიგისაანი. 10 წლის): მფხ3, ეა4, პ-ა2 (3). (50. მფნ ეა4 51. ე×ა4 მფ×ა4 52. გ1. ალ 53. გლ შემდეგ უაჩიხათის შავებს უნდა ებრძოლათ) 50. მფვ?? (ახლა პაქების ლაზიერში გაუყანს შემდეგ შავები იგებენ 53. ... ლე1 სვლით) 50. ... ეა??: 51. მფh6 ეა6 52. ე×ა2 და თეორემა მოიგებს.

პოზიცია № 2

ჩიძოპანი: მფე1, ლხ3, მფ8, პ:ა3, ძ6, f2, f5, გ4, h2 (9); იოსაპი (ხობი): მფგ8, ლფ6, პ:ა6, ხ5, ძ6, e4, f7, გ7, h7 (9).

როგორც ვხედავთ, თეორებს უდამეტი ფიგურა აქვთ. ახლა ჩიქოვანი მოხდენილი მანევრით ახერხებს ლაზიერების გაცვლას, რის შემდეგ თვით მხოლოდო ჩემპიონიც უმწურო იქნებოდა შავებით. 24. ლძ1 ლე7 25. ლძ8 ლფ8 26. ლ×ფ8 მფ×ფ8 27. მძ4 მართალია, აქ უკველა გზა რომში მიდის, მაგრამ ჯობდა აშკარა 27. მძ2 27. ... გ6 28. ფგ ფგ 29. f4??

(შეიძლება ერთი კითხვის ნიშანიც კი არ დაგვეხვად, მაგრამ თეორების სვლა პრინციპულად მცდარია — მხავს პოზიციებში პაქების გაცვლები ქმნის ან ურდის სუსტი მხარისათვის ყაიმის შანსებს) 29. ... e f 30. მ×ფ8 მფე7 31. მფ2 (გ5) მფ6 32. მფ8 ა5 33. მძ4 h5 34. h3 მფე7 35. მფც3? (მცდარი გეგმის დასაწყისი. შეიძლება 35. გ6 და მფ8—h3, ა5—ა4-ის გამოწვევით, რის შემდეგ თეორი მეფე გადაინაცვლებდა „h4“-ზე. ისე, უხერხულიც კია ვარიანტების — გზების ჩვენება, როცა მოწინააღმდეგე ფიგურაში არავითარი კომპენსაცია არ გააჩნია) 35. ... hg 36. hg მფდ7 37. მფხ3? მფც7 38. ა4?? (მცდარი გეგმის დაგვირგვინება. ახლაც არ იყო გვიან მეფის „d4“-ზე დაბრუნება) 38. ... მფხ6 39. მძ4 ba 40. მფ×ა4 (თეორებმა ნებაყოფლობით გამოითხეს საკუთარი მეფე თამაშიდან) 40. ... მფცნ (როლები შეიცვალა. შავი მეფე დიდი ძალით ებმება ბრძოლაში) 41. მფ3 მფ×ძ5 42. მძ4 მფენ 43. მ×გ6 მფ6 44. მფ8 მფენ 45. მფ×ა5 მფ×გ4 (თეორების ვეებერთელა მატერიალური და პოზიციური უპირატესობისაგან მოგონებლა დარჩა, რამეთუ მართლ მხედარი ერთი კი არა, ორიც ვერაფერი ბედენაა. შავებს ყაიმი გაწადებული აქვთ თეორებს კი, თუ „შონდომევენ“ „შუღლით წააგონ“: 46. მფენ მფ1 47. მფ8 (აუჩიხებეგებს... მოწინააღმდეგეს მეფის პოზიციას) 47. ... მფე4 48. მფც6 (დაუჭერებელი ამბების მომხრენი ვართ. შეიძლება 48. მე7) 48. ... ძ5 49. მფცნ ძ4 50. მფც4 (შეიძლება მფ8—ე7—ძ5—ძ3 ყაიპით) 50. ... ძ5 51. მენ (ტრიუტი. საჭირო იყო 51. მფც3 მფე8 და ყაიპია) 51. ... ძ2! (შავები იგებენ!) 52. მფ4 ძ1ლ?? 53. მფ2 ყაიმი. (იოსავა იგებდა: 52. ... მფნ3 53. მძ2 მფე2 ან 53. მენ მფე2).

ახეთი თამაში (ბოლო ორი ენდშილი) — მესამეთანრიგის ნებისთვისაც მიუტყვებელია.

პოზიცია № 3


ნაშარიძე (ჭუთახი): მფგ8, პ:ხ4, f8, h8 (4);

თოლორაბი: მფ8, პ:ა7, გ6, h7 (4).

თოლორაბი იგებდა 44... გ5! ხელით, რაშიც შემსწავლელს თავად შეუძლია დარწმუნდეს. 44. ... გნ-ის შემდეგ მოგება დიდ სიზუსტეს აღარ მოითხოვდა. ხინამდევილესი იყო: 44. ... h5? 45. h4 (f4) გ5 46. hg მფ×გ5 (აქ, „და-შორებული გამხველი პაქი“ ვერ იგებს. თეორები „h“ პაქის აყვანის შემდეგ ახერხებენ „a1 უჭრის“ დაკავებას. ყაიმისათვის „c2“-ზე მოსწრებას საქმარისია, რადგან შავებს რჩებათ კიდურა „a“ პაქი) 47. მფ2 მფ1 48. ხ5 h4 49. მფგ2 h3 50. მფ×h3 მფ×h3 ყაიმი.

ახლა ვნახოთ, რა დონეზეა მესამეთანრიგის ნების ტაქტიკური, კომპინაციური ხედეა.

მიძამე (სამტრელია)



ბელაშვილი (8 წლის)

ანა გელაშვილი 25. ე×h7! შეწირვით აცხადებდა შამათს 2 სვლაში, რაც ნამდვილი მესამეთანრიგის სიხარების ელემენტარული ტაქტიკური ოპერაციაა. პარტიაში იყო 25. კნ5?! გ6 26. ე×გ6 ეე7 27. ე×ძ6 ეეძ7 28. ლე6 ლხ6 29. ლ×ფ6 მფგ8 30. ლე6 მფხ8 31. ენ ეე7 32. ე×h7 ++ ვეულაფერს რომ თავი დავანებოთ, ორხვლიან საქმეს რვა-ხვლიანად რომ გაიხლი, ხომ შეიძლება, სვლები ვერ მოასწრო და საათის ალაში ჩამოგვივარდეს!

პოზიცია № 4

ბელაშვილი: მფც1, ლე8, ეე1, h1, კხ8, h4, მე2, პ:ა2, ხ2, ძ2, f2, f8, h2 (13); ბაბუნია (სამტრელია): მფგ8, ლძ8, ეა8, f8, ეე7, გ6,

მფ8, პ:ა6, ხ7, ძ6, ეე7, გ6, გ7, h6 (15);

შავების უკანახენი სვლა იყო 20. ... de?? (6-ცვლად 20. ... c4-სა) 21. fe?? (ელემენტარულია 21. ე×გ6) 21. ... ე×ე4 22. f8 ეე6 23. ლ×ე5?? ეე8?? 24. ე×გ6 (მადლობა დმერთს!) 24. ... ეძ6 25. ლწ6 (26. ე×გ7! მფ×გ7 26. ე×ფ6 მფწ6 27. ეე7) 25. ... ეე7 26. ეეგ1 მფწ8 27. ე×გ7 შავები დანებდნენ.

პოზიცია № 5

თოლორაბი: მფე1, ლძ1, ეა1, e4, ეა4, პ:ა2, ხ2, ძ2, ძ6, f2, გ2, h3 (12);

მანიტიძე (სამტრელია): მფგ8, ლა4, ეა8, f8, ეწ6, პ:ა7, ხ7, ძ6, f7, გ7, h7 (11);

21. ე×ფ7! „ლია თავდასხმა“.

ვნახოთ მესამეთანრიგისათა ტაქტური ხალებითუთ შეცდომები.

კუშუა (სამტრელია) —

თოლორაბი 1. e4 e5 2. მფ8 მც6 3. ეა4 ენ 4. მც8 მფ6 5. ძ3 0—0? (რუსულან თოლორაბამ კარგად იცის, რომ ეს როქი ნადრეცია) 6. ეგ6 ძ6 7. მძ5 ეე6 8. მ×ფ6 გწ 9. კნ6 ეე8 10. ე×ე6?? ცხადია, ეს გაცვლა შავებისათვისაა ხელსაყრელი. საერთოდ, გაცვლა საჭალარაკო მნიშვნელოვანი ელემენტია. ლოკატურია 10. მძ4. მხედარი კონტაქტში მოგვეყავს „წ“ სუსტ უჭარბთან, თეორ ლაზიერს გზა ეხსნება მეფის ფრთისაკენ (10. ... fe 11. მძ4 (ტრიუტი) 11. ... მფწ8 12. მ×ე6 hc (მცდარი სვლებით სტუტამ საგრძნობლად გააუჩიხებდა... მოწინააღმდეგის პოზიცია და შეგვედა საკუთარი შეტევითი პოტენციალი).

ქლიძაძე (ჭუთახი) —

ბბს-ტაძე (თბილისი. 8 წლის) 1. e4 e5 2. მფ8 მც6 3. ძ4 ძძ 4. მ×ძ4 მფ6 5. მც8 ეე6 6. ეგ6 (6. მძხ6) ეე7 7. მ×ე6 hc 8. ლძ2 ლხ6 9. 0—0 ენ8 10. მა4 მ×ე4 (ბრძოლამ ფორსირებული ხასიათი მიიღო. მალე გამოიკვედა, რომ ვარიანტი ორივე მეტოქემ ცუდად გათვალა) 11. მ×ხ6 მ×ძ2 12. მ×ძ7?? (საჭირო იყო 12. ე×ე7 და თუ 12. ... მ×ფ1, მაშინ 13. მ×ე8 ფაგურის მოგებით) 12. ... ე×ძ7?? (აქ უკ-

სახელოვან ალამიანთა ეპიტაფიები

სახელოვან მეცნიერთა ცხოვრებისა და შემოქმედების წიგნში თითქმის ყოველთვის არის თითო გვერდი, რომელშიაც მოკლე ფრაზითაა შეფასებული ამ მეცნიერის დეაწლი და მნიშვნელობა. ეს ფრაზა, ქვაზე თუ თუჯის ფირფიტაზე წარწერილი, ან საფლავზე ადევს განსვენებულს, ან მის ძეგლზეა მიმარებული.

აი, ზოგიერთი მათგანი:

მზის უამრავი — დედამიწის სამომკრავი. ასე აწერია ქალაქ ტორუნში აღმართულ ერთ ძეგლს. ეს ნიკოლო კოპერნიკი განსვამს, პელიოცენტრული სისტემის შემქმნელი.

გამგლელო, ვინც უნდა იყო, ნუ ვიყო, რომ ეს პატარა ბელტი მიმიღებ აწვივა აპ დაბრძალული მარკატორის მკარდს, რადგან მთელი დედამიწაც ვერ იძნავოდა უსაზვლო ტვირთი ალაშინისათვის, რომელმაც, ატლანის მსგავსად, მხრებით ზიდა მისი სიმძიმე. ასე აწერია ბ. მარკატორის — კარტოგრაფიის ფუძემდებლის საფლავის ქვას.

ერთხელ ცა გაგომე, ახლა დედამიწის ჩრდილს ვგომავ. იოჰან კეპლერმა, ციური მექანიკის კანონთა ჩამომყალიბებელმა, თვითონვე შექმნა თავისი ეპიტაფია.

თავისი გონებით მან ალაშინათა მოღვაწე აჯოგა. ეს სიტყვებია ამოკვეთილი დიდი ფიზიკოსის, ისაბა ნიუტონის ძეგლზე, რომელიც კემბრიჯშია აღმართული.

ლაიბნიცის პენიას. სულ ორი სიტყვაა წარწერილი ამ დიდი გერმანელი მათემატიკოსის საფლავის ქვაზე. ლაიბნიცმა, ნიუტონთან ერთად, შექმნა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა.

მან ცას ელვა გამოსტაცა, ხოლო ტირანებს — კვერთხი. ეს სიტყვები ბენშამენ ფრანკლინის ბიუსტზეა წარწერილი. ფრანკლინი ბუნებისმეტყველი, მენამრიდის გამომგონებელი, თავისუფლებისათვის თავგამოდებული მებრძოლი იყო.

მან მოგვიასლოვა ვარსკვლავები. ეს მოკლე, მაგრამ დიდებული ფრაზა იოზეფ ფრაუნჰოფერის საფლავის ძეგლზეა ამოკვეთილი. ფრაუნჰოფერმა შექმნა შესანიშნავი ოპტიკური ასტრონომიული ხელსაწყოები.

ბოლოს და ბოლოს, ვინც ვერ ვპარ. ამ ეპიტაფიის ავტორია პ. აშპერი — ელექტრობის შესახებ მოძღვრების ერთ-ერთი შემქმნელი. მან არ ისურვა, ეპიტაფიაში რამე თქმულიყო მის დამსახურებაზე.



მთელი სიცოცხლე დაულაღვ შრომაში პატარა. ეს ელექტრული რკალის აღმოჩენის, მ. პეტროვიჩის ეპიტაფია განსვამს.



ვე შავები ხელიდან უშვებენ მოგების შანსებს: 12. ... \times 5 13. $\frac{3}{4} \times \frac{8}{5} \times \frac{1}{2}$ 14. მფხ1 მდ2 ან 13. ... მე4 14. მფხ21 $\frac{3}{4} \times \frac{1}{2}$ 13. $\frac{1}{2} \times \frac{7}{8} \times \frac{1}{2} \times \frac{1}{4}$ 14. კძ6 (კც5) ეძ8 15. ეჩ \times f1 თეთრების უპირატესობით.

ჰანალიძე (ქუთაისი) — პელაგოპოლის — შეხვედრაში საქმე კუროსამდე მივიდა. 1. e4 e5 2. მფ8 მც6 3. d4 ed 4. $\frac{3}{4} \times \frac{1}{4}$ მფ8 5. $\frac{3}{4} \times \frac{1}{2}$ bc 6. ლე2 (6. e5) კც5 7. e5 მძ5 8. ლე4 ლე7 9. კძ8 0—0??? 10. ლ \times h7 ++.

ახლა გავეცნოთ ჩვენი მესამეთანრიგოსნებისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელ პარტიას. 8 წლის ბექა კვარაცხელია იმედის მომცემი მოკალდრაკეა. შემდეგ პარტიაში ნაწილობრივ გამოვლინდა მისი საკლარაკო ძალა.


ბაბუნია (სამტრედია) — კვარაცხელია 1. e4 e5 2. მფ8 მც6 3. კც4 მფ6 4. მც8 $\frac{3}{4} \times \frac{1}{4}$ 5. $\frac{3}{4} \times \frac{1}{2}$ d5 6. კძ8! de 7. $\frac{1}{2} \times \frac{1}{4}$ კც4 (კძ6) 8. h8 კი5 (თეორია გვაუწყებს: 8. ... $\frac{1}{2} \times \frac{1}{8}$ 9. ლ \times f8 ლდ7 10. $\frac{1}{2} \times \frac{1}{8}$ ტარტაკოვერი უფრო ძლიერად მიიჩნევს 10. c8) 10. ... bc 11. 0—0 კც5 12. ლფ8 f6 გათანაბრებით. 9. 0—0 (შემოწმებულია 9. გ4 კც6 10. $\frac{1}{2} \times \frac{1}{8}$ bc 11. $\frac{3}{4} \times \frac{1}{8}$ ლძ5 12. 0—0 h5 13. $\frac{3}{4} \times \frac{1}{8}$ fg 14. ეე1 მფ7 15. ძ8) 9. ... კძ6

10. ძ8 0—0 11. ლე1 f5 12. კძ5 მფ8 13. კც5 ლდ7 14. კძ2 ეფ8 (გაე8) 15. კც8 e4! 16. de fe 17. $\frac{1}{2} \times \frac{1}{4}$ $\frac{1}{2} \times \frac{1}{8}$ 18. გწ ლ \times f5 (აქ შეიძლება ფარდის დაშვება) 19. $\frac{1}{2} \times \frac{1}{8}$ მფ \times გ7 20. ლც8 კც5 თეთრები დანებდნენ.

1984 წლის იანვარში, ქალაქის სახალხო უნივერსიტეტის ჩემპიონატში ჩვენმა აღსაზრდელმა 10 წლის ზურაბ იგორაშვილმა (რუსთავი) ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა! ამოსახსენებლად გთავაზობთ დაბოლოებას, რომელიც გათამაშდა ქალაქის სახალხოში 1982 წლის 16 ნო-

ემბერს, მეორე თანრიგის მოსაპოვებელ ტურნირში.

პატარაალიოზილი



იპრიანოვილი

თეთრები იწყებენ და იაკბენ.


ველით თქვენს პახუსს.




აბაზანის საცობი ხშირად სძვრება ჭაჭვს სამაგრი რგოლის გაშლის გამო. თუ რგოლს ოვალურ ფორმას მისცემ, ისე რომ შეერთების ადგილი გვერდზე მოექცეს, საცობი ჭაჭვს აღარ წახსძვრება ხოლმე.



● კვართის, შარვლის თუ კაბის გაშრობა თუ გეჩქარება, შეგიძლია თმის საშრობი ფენი გამოიყენო. ტანსაცმელს საკიდზე ჩამოკიდებ და ჭერ ერთი, მერე მეორე სახელოდან მიუშვებ ცხელი ჰაერის ჭავლს. 10-15 წუთში შენი კვართი თუ კაბა მშრალი იქნება.



● თუ წყალსადენის მილის ამა თუ იმ დეტალის მოხრახვენა გაგიჭირდა, მაშინვე მაინც-დამაინც სარჩილავ სანთურას ნუ დაუწყებ ძებნას: სინჯე, იქნებ მღულარე წყალმა გაგიწიოს მისი მავიჯრობა.



ფოტომოყვარულები სურათებს, ჩვეულებრივ, ღამით ბეჭდავენ. მაგრამ ამის გაკეთება დღისითაც შეგიძლია, თუ ფანჯრის ნაწილს დააბნელებ, ნაწილს კი წითელ ორგანულ მინას ან შუქფილტრის ფირს ააფარებ. სხვათა შორის, ფოტოგრაფები თავდაპირველად სწორედ ამ წესით მუშაობდნენ.



ორი მცირედიამეტრიანი რეზინის შლანგის გადაბმა თავისუფლად შეიძლება ბამბუკის ნაჭრით. ბამბუკის მუხლის ამოხურცული რგოლი კარგად აკავებს შლანგს.



ბავშვის თხილამურების საიმედო დამაგრებას ბევრი არაფერი უნდა. მანქანის კამერას ამოსხეტი ორი 10-12 მილიმეტრი სიგანის ზოლი (შეიძლება პირდაპირ რგოლის გამოტრაც). შეაერთე მათი ბოლოები გაკერვის ან ვულკანიზაციის გზით, მიღებული რგოლის ერთი მხარე ფეხსაცმლის წვერს ამოსდებ ქვეშ, მეორე კი ქუსლს ჩამოაცვი და ამით პრობლემაც გადაიჭრება.



საკითხავი

მ. გელაშვილი — იმ დღეს ყველაზე ბედნიერი ვიყავი (ნარკვევი). გარეკ.	2
მ. ასლამაზიშვილი — მუხტარა (მოთხრობა)	8
მ. ბარბაქაძე — ქვეყანა რომ ლამაზია (ლექსი)	5
მ. აზნავაძე — პიონერულ სიტყვას არ ეღალატების! (ნარკვევი)	6
მ. შანიშვილი — ესტატე (მოთხრობა)	9
მ. შავლაშვილი — გრაციათა სამყაროში (ნარკვევი)	11
მ. ტაბაღაძე — საპატიო გაცდენა (მოთხრობა)	14
მ. როდარი — რკინის ღობის სიმღერა (მოთხრობა)	16
რამაზ მარბიანი (ნეკროლოგი)	18
აი სი	19
წინ გაიხედე ასალგაზრდას! (ექიმის საუბარი)	22
უცხოური იუმორი	23
ი. დიმიტრივი — ტუის დიდი წიგნი	24
ბუნების კარი	26
ჩვენი ფართოსანი მემგობრები	27
ბ. ჩხარტიშვილი — ერთაწმინდის ტაძარი (წერილი)	28
ჯადოსნური სარკე	28
მხედრიონი	30
სახელოვან ადამიანთა ეპიტაფიები	31
გამოგადგები	32
ცხრაკლიტული	გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ზაურ დინისძის.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუზარ აზნავაძე, ჯურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურბანიძე, დოდო ვალაშკორია, გიორგი ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლივაძე, რომანოზ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეფიჩიანი, ჯურაბ წყვირიკაშვილი, ჯურაბ ბუმბუკიანი.


საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-08, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცემა ასაწყობად 25. 05. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 07. 84 წ. ქალაქის ფორმატი 60×90¹/₃. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 5,85, შეკვ. 1178. ტირაჟი 156000 ეგზ., უე 08091.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60×90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 156.000 экз. Цена 20 коп.

თავისუფალი გეომეტრია



1. მოცემული დიამეტრის სამი წრეხაზით გამოუყავით ყველა ხე ერთმანეთისაგან. ამისათვის ეს სამი თანაბარი წრეხაზი უნდა განალაგოთ წრეში, რომელშიც ხეებია ჩახატული. აბა სცადეთ!

2. ტოლგვერდა სამკუთხედი სამი სწორი ხაზით გაუყავით: 1) ოთხ ტოლგვერდა სამკუთხედად; 2) სამ ტოლფერდა სამკუთხედად. 3) ექვს ტოლ სამკუთხედად.


3. ოთხკუთხედი გაუყავით ოთხ, ერთნაირი ფორმის ნაწილად ისე, რომ თითოეულ მათგანში მოხვდეს ერთი შავი და სამი თეთრი პატარა ოთხკუთხედები.

4. ექვსკუთხედი გაუყავით რვა თანაბარ ნაწილად.


5. სწორკუთხედი უნდა გაუყოთ ოთხ, ერთნაირი ფორმის ნაწილად ისე, რომ თითოეულ მათგანში მოხვდეს ერთი სახლი და ექვსი ხე.

6. ფარგლის ოთხი ერთგვაროვანი მოძრაობით, წრეში შეგიძლიათ მოათავსოთ ოთხი ერთმანეთის მსგავსი ფიგურა, რომლებიც მძიმეს მოგაგონებენ...


7. ექვსი სწორი ხაზით წრე გაუყავით 22 არათანაბარ ნაწილად.




3




4




6




7



1



2



5



შესაბამისი ასოები ყველა ქვემოთ მოცემულ ფიგურაში.

დახედეთ შინაური ცხოველებისა და ფრინველების ამ „საბავშვო ბაღს“ 5 წამის განმავლობაში, შემდეგ ნახატს დააფარეთ. ახლა მეორე სურათს დახედეთ, აქ ცხოველები და ფრინველები უკვე მოზრდილები არიან. კი



ღევ რა ცვლილებებია ამ სურათში წინა სურათთან შედარებით? ვინმე შედგენილი ხომ არ გამოჩნდა?

ქურნალიდან „ვოეტი“


კვანძიან მუხბო მესხიერებას

მეხსიერებას, როგორც კუნთებს, სისტემატური ვარჯიში სჭირდება. გთავაზობთ რამდენიმე სავარჯიშოს.

17, 41, 39, 57, 14, 22, 63


გაეცანით ამ ციფრებს? კარგად დაიმახსოვრეთ. შემდეგ ციფრებს რამე დააფარეთ. დათვალეთ 15-მდე. მერე ეცადეთ დაწეროთ ეს ციფრები, ცხადია, იმ ქალაქში ჩაუხედავად, მეხსიერებით!

12—51 MOK 17—40



ეს ავტომატური ნომრებია. ამ ჩანაწერებსაც მოექცით ისევე, როგორც წინას.

16 უჯრედში თორმეტი ნახატია. დააკვირდით მათ 1 წუთის განმავლობაში და მერე რამე დააფარეთ. ცალკე ფურცელზე ჩაწერეთ უჯრედებში საგნების განლაგება. თუ შეუცდომლად შესძელით 7 გამოსახულების უჯრედში მოთავსება, კარგი მეხსიერება გქონიათ.



დაიმახსოვრეთ რომელი ასოები რომელ ფიგურას შეესაბამება და მერე ნახატს დააფარეთ. შემდეგ კი, მეხსიერებით, ჩაწერეთ

პასუხი № 6-ში მოთავსებულ „ცხრაპლიტულზე“

ანაბრაბა
რიონი — ნიორი, წალამი — წამალი;
ქალამი — მუყალი, კვარი — კრავი.

მებაბრაბა
კვერთხი — კვერცი.
ვერხვი — ვარხვი, კვერთხი — კვერცი,
ბალი — ნალი, ხალი — ლალი,
დოლი — დოდი, ნარი — ზარი.

გამოცანები
ექო, ნემსი და ძაფი, ზღარბი.

რომელი საათია
ახლა ორი საათია. პირველი
საათი წინ გარბის, მეორე —
არ მუშაობს, მესამე — უკან რჩება.

აბა გამოიცანი
ვარდიშვილი პირველი მოტოციკლით
გამოდიოდა.

60/112

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კურს გაუფრთხილდი!

ჩვენ მდიდარი ვართ პურიტ, ყველაზე იაფი პურიტ
მსოფლიოში, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვაპიწყ-
დეს, რადღაც ძვირფასია იგი ჩვენთვის...

პური სიცოცხლის, მშვიდობის, კეთილგანწყობის
სიმბოლოა.

ადამიანური ცხოვრების უამრავი ეპიზოდია დაკავ-
შირებული პურთან... და დღეს, როცა პური განუხა-
ზღვრელი რადიკალიზმით გვაქვს, ნუ დავივიწყებთ: პუ-
რი სუფრის დედაა, მასაზრდოებელი ჩვენი ოჯახისა...
ნუ გაიმეტებთ გადასაყრელად!..

კურს გაუფრთხილდი:

ჩვენს საბრძოლო ძირითად წყაროს!

კურს გაუფრთხილდი:

მიწის, წყლისა და მზის ბულუსვ პირმშოს!

კურს გაუფრთხილდი:

შრომისა და ბარჯის ძვირფას საზღაურს!

კურს გაუფრთხილდი!

საქპურმრეწვი,
საქართველოს
სარეკლამო
სააგენტო.

კურს
გაუფრთხილდი!